# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 37 (57) | შაბათი, 23 თებერვალი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

მთავრობის მოამბე

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 20 თებერვალს გამართული მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო შედარებით ცოტა საკითხი — სულ რვა. მაგრამ მათ განხილვას, რომელიც მიმდინარეობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით, ბარე ოთხი საათი დასჭირდა. და ეს სავსებით გასაგებია, რამდენადაც წარმოდგენილ საკითხთაგან თითოეული ეხებოდა საქართველოსთვის საარსებო პრობლემებს, მოითხოვდა ყოველმხრივ აწონ-დაწონილ ობიექტურ შეფასებასა და რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენტურ გადაწყვეტილებას.

ალბათ, არ ღირს იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს საქართველოსათვის დამყარონ და განავითარონ უშუალო კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრივ და სამთავრობო ორგანიზაციებთან. რესპუბლიკისათვის, რომელიც დაადგა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზას, ასეთი საერთაშორისო კავშირურთიერთობა ახლა განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. აი, სწორედ ამიტომ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების 1990 წლის საქმიანობის განხილვა გადაიქცა ნამდვილად საქმიან, დაინტერესებულ სჯა-ბაასად არა მარტო იმაზე, თუ როგორ ართმევს თავს ეს საზოგადოება დაკისრებულ მაღალ მისიას, არამედ საზოგადოების მიერ გარე სამყაროსთან პირდაპირი, ცენტრის გვერდის ავლით, კონტაქტების თანამიმდევრული გაფართოების პერსპექტივებზეც. უნდა ითქვას, რომ ასეთი ურთიერთკავშირის გაღრმავებისათვის შექმნილია მეტად სოლიდური საფუძველი და ამას უკვე მოაქვს შედეგი.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, მარტო შარშან საქართველომ თავისი კულტურის დღეები გამართა ნორვეგიაში, იაპონიაში, იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ბელგიაში, სადაც მათ თან სდევდა უცვლელი წარმატება. ამ დღეების ფარგლებში მოწყობილმა შეხვედრებმა და საუბრებმა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან შესაძლებლობა მოგვცა ფართოდ წარმოგვედგინა საქართველოს ისტორია და კულტურა, მისი დღევანდელობა, რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების ობიექტური სურათი. თავის მხრივ, საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები იყო დასავლეთ გერმანიის ზაარის მხარის კვირეული და იაპონიის კულტურის დღეები. ახალი შინაარსით ივსება საქართველოს მეგობრობის საზოგადოების დელეგაციებისა და ტურისტული ჯგუფების გაცვლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. შარშან, მაგალითად, მან მიიღო დაახლოებით 50 ასეთი დელეგაცია და ჯგუფი, რომლებშიც ათასამდე კაცი შედიოდა. საზოგადოებასთან შექმნილია „საქართველო-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის", „საქართველო-დიდი ბრიტანეთის", „საქართველო-ფრანგულენოვანი ქვეყნების" ასოციაციები, ხოლო რამდენიმე თვის წინ შეიქმნა და უკვე შეუდგა მუშაობას საერთაშორისო კულტურის ცენტრი.

გააანალიზა რა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქმიანობა, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა მისი წინადადებანი, რომ უახლოეს დროში შეიქმნას „საქართველო-ავსტრიის", „საქართველო-სკანდინავიის ქვეყნების", „საქართველო-იაპონიის", „საქართველო-თურქეთის" ახალი ასოციაციები, აგრეთვე საქართველოს დამოყვრებულ ქალაქთა ასოციაცია. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ მჭიდრო კონტაქტები დაამყარონ საზოგადოებასთან და იხელმძღვანელონ მისი რეკომენდაციებით საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ურთიერთობის დროს. შესაბამისი დავალებანი მიეცათ აგრეთვე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს.

მწვავე დისკუსია გაიმართა სხდომაზე იმ აბიტურიენტთა ბედის განხილვის დროს, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 1990-91 სასწავლო წელს შესასვლელ გამოცდებზე დადებითი ნიშნები მიიღეს, მაგრამ კონკურსის მიხედვით ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში. წამოჭრილი პრობლემის შესწავლისათვის სპეციალურად შექმნილმა სამთავრობო კომისიამ, რომელშიც, სხვათა შორის, აბიტურიენტთა მშობლებიც შევიდნენ, პრობლემის გადაჭრის ორი ვარიანტი წამოაყენა. პირველ შემთხვევაში სამედიცინო ინსტიტუტს წინადადება ეძლეოდა 325 ერთეულით შეემცირებინა ახალ სასწავლო წელს აქ შემსვლელთა კონტინგენტი და პირველ კურსზე სამეურნეო ანგარიშის პირობებით ჩაერიცხა 426-ვე აბიტურიენტი, რომლებმაც შარშან დადებითი ნიშნები მიიღეს ამ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებზე. მეორე ვარიანტი ასეთი იყო: 254 აბიტურიენტი, რომლებმაც სამკურნალო სპეციალობა აირჩიეს, ჩაერიცხათ სამეურნეო ანგარიშის იმავე პირობებით თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, დანარჩენი 172 აბიტურიენტი კი, რომლებმაც სხვა სპეციალობები აირჩიეს, — სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე. მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ უარყო ორივე ვარიანტი. უფრო მეტიც, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განაცხადის საფუძველზე მან მოითხოვა ახალი სასწავლო წლიდან მისაღები კონტინგენტი შეზღუდონ 300 კაცამდე. საგულისხმოა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს ერთსულოვნად მოწონებულ ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და ფინანსთა სამინისტროებმა.

მინისტრთა საბჭომ ცნობად მიიღო მთავრობის კომისიის დასკვნა და დაეთანხმა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს წინადადებას. ამასთან აღინიშნა: იმის შედეგად, რომ წინა წლებში უხეშად იყო დარღვეული უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდებისა და მოსამზადებელი განყოფილებების დაკომპლექტების წესები, დამატებით ჩარიცხული აბიტურიენტებისა და სხვა ქალაქებიდან გადმოყვანილი სტუდენტების ხარჯზე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ახლა სწავლობს 6442 სტუდენტი დაგეგმილი 4300 სტუდენტის ნაცვლად. ამასთან კიდევ 1400-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პირველ კურსზე. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია სასწავლო პროცესის ნორმალური ორგანიზაცია, მით უმეტეს კლინიკური დისციპლინების ეფექტიანი შესწავლა. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ის 426 აბიტურიენტი, რომლებმაც შარშან შესასვლელ გამოცდებზე დადებითი ნიშნები მიიღეს, დამატებით ჩაირიცხონ პირველ კურსზე სამეურნეო ანგარიშის პირობებით. ამავე დროს, ამ საკითხის განხილვისას, სხდომაზე შეშფოთებით აღინიშნა, რომ დიპლომიან ექიმთა რიცხვი საქართველოში მნიშვნელოვნად აღემატება მათზე არსებულ მოთხოვნილებას. ახლა 1800-ზე მეტ ექიმს სამუშაო სპეციალობის მიხედვით ვერ უშოვია რესპუბლიკაში. ამის მიუხედავად, აჟიოტაჟი უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების გარშემო არათუ არ ცხრება, არამედ კვლავ სწრაფად მატულობს.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დაევალა განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ სპეციალისტთა კადრები მზადდებოდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ხაზგასმულია, რომ სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ, ამ სასწავლებელთა ხელმძღვანელები მკაცრად უნდა იცავდნენ ახალი კონტინგენტის მიღების დამტკიცებულ გეგმას, არ ურიგდებოდნენ დარღვევებს როგორც მთლიანად სასწავლებელში, ისე ყოველი ცალკეული სპეციალობის მიხედვით. ცნობად არის მიღებული, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს საკანონმდებლო აქტს კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული კომერციული სასწავლებლების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ.

მინისტრთა საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს რესპუბლიკის არქეოლოგიური ფონდის წესდება. ეს ახალი საზოგადოებრივ-სამეცნიერო ორგანიზაცია მიზნად ისახავს იმას, რომ კიდევ უფრო განავითაროს არქეოლოგიური კვლევა რესპუბლიკაში, უზრუნველყოს ისტორიის, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების რესტავრაცია და კონსერვაცია, თანამშრომლობს ყველა ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან, რომლებიც ახორციელებენ არქეოლოგიურ და სამშენებლო სამუშაოებს, იცავენ და უვლიან სიძველის ძეგლებს. მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ამ ფონდს საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საქმიანი თანამშრომლობის გაფართოებაში როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ ერთობლივი არქეოლოგიური კვლევის ორგანიზაციაში.

სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარეს აგრეთვე სრულიად საქართველოს საზოგადოება „არსი"-ს წესდება, განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხები.

(საქინფორმი)

ხელისუფლების დერეფნებში

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებმა დააკავეს საქართველოს მხედრიონის მეთაური ბატონი ჯაბა იოსელიანი და ამ ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიუხედავად ხელისუფლების მხრივ არაერთი გაფრთხილებისა, მხედრიონი რჩებოდა პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, ხოლო მისი წევრების მიერ ჯერ კახეთის რაიონებში, ბოლოს კი სამტრედიაში განხორციელებული ბანდიტური თავდასხმები სულ უფრო თავხედური და სახიფათო ხდებოდა. თითქოს მოვლენათა ამავე რიგში უნდა განგვეხილა „შავნაბადას ინციდენტიც", მაგრამ ამ ინციდენტის გამოწვლილვითი ანალიზი, ვფიქრობთ, სულ სხვა ეჭვებს აღძრავს.

საქმე ის არის, რომ მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული ორგანიზაციის უვნებელყოფის ოპერაცია ვერ განხორციელდებოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის, შესაძლო ვარიანტების გათვლისა და ძალთა სწორი განაწილების გარეშე. ოპერაციის დაწყების დღეც, საფიქრებელია, წინასწარ იყო დაგეგმილი, და ფრიად საკვირველია, რომ „შავნაბადას ინციდენტი" სწორედ წინადღეს მოხდა. ასეთი უცნაური დამთხვევა ახსნას მოითხოვს.

გავიხსენოთ, თუ ვინ არიან ამ ინციდენტის მონაწილენი: ერთი მხრივ, საოკუპაციო არმიის ნაწილები, რომელთა ამოცანაა ძირმომპალი იმპერიის გადარჩენა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სისხლში ჩახშობა, ხოლო მეორეს მხრივ, ეროვნულ მოძრაობას მიტმასნებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის კავშირი ხელისუფლებას ჩამოშორებულ და ძველის აღდგენაზე მეოცნებე კორუფცირებულ მაფიასთან სრულიად აშკარაა. ბუნებრივია, რომ საერთო მიზნით დაკავშირებულ ამ ორ ძალას შორის მომხდარიყო გარკვეული შეთანხმება. „შავნაბადას ინციდენტი" სწორედ ამგვარი შეთანხმების არსებობის არაპირდაპირი სამხილია.

წარმოვიდგინოთ, რომ მხედრიონისა და არმიისათვის წინასწარ გახდა ცნობილი, რომ მზადდება მხედრიონის გაუვნებლობის ოპერაცია, რა დახმარება უნდა აღმოეჩინა ამ შემთხვევაში არმიას? ბატონი ჯაბა იოსელიანი ყულუმბეგოვი როდია, რომ სამხედრო ნაწილში შეიფარო, მას სულ სხვა მისია აკისრია და მის რეპუტაციას სხვაგვარი გაფრთხილება სჭირდება. ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია „შავნაბადას ინციდენტის" მსგავსი სპექტაკლის დადგმა, რათა ხელისუფლება მძიმე არჩევნის წინაშე დააყენო და მის მიერ მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის დაგეგმილი აქცია შეაფერხო.

მაშ, ასე, ქართველებს, „ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს" ოკუპანტებმა ალყა შემოარტყეს და სროლა აუტეხეს... თუ ხელისუფლება არმიას დაუპირისპირდება და ალყის მოხსნას მოითხოვს, მაშინ გმირებად ქცეულ მხედრიონელთა გაუვნებლობაზე ხელი უნდა აიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კოლაბორაციონიზმის ბრალდებას ვერსად გაექცევა და ოპოზიციის წისქვილზე მიუშვებს წყალს. ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ შემთხვევაში ერთადერთ სწორ არჩევანს მიაგნო, როცა მკაცრად დაგმო როგორც „მხედრიონის", ასევე საოკუპაციო ჯარის მოქმედება, ხოლო შემდეგ, ყველაფრის მიუხედავად, განახორციელა დაგეგმილი ოპერაცია.

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს, 18 თებერვალს, მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ბოლომდე გახსნა ხსენებული პროვოკაციის მექანიზმი.

დროა, იმათ, ვინც „შავნაბადას ინციდენტის" მსგავს ბინძურ პროვოკაციებს გეგმავს, შეიგნონ, რომ ეროვნული ხელისუფლება კვლავაც წარმატებით გაშიფრავს მათს ხრიკებს. ისტორიის განაჩენი უთუოდ აღსრულდება. საქართველოში არის ძალა, რომელსაც ხელეწიფება იმპერიის დამარცხება პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით. ეს ძალაა ქართველი ერი, ხოლო ერის ნდობა, გაცხადებული დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებში, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების უდიდესი კაპიტალია.

## საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ამ დღეებში შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების მიერ კვლავ გრძელდებოდა არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებების ხელში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და გატაცებული ტრანსპორტის ამოღების ღონისძიებები.

19 თებერვალს წითელწყაროს რაიონში დააკავეს „მხედრიონის" ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი გელა ნაროზაული, რომელსაც ჩამოერთვა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების კუთვნილი ავტომანქანა „უაზ-469". იმავე დღეს სოფელ ზემო მაჩხაანის მცხოვრების გია გოგილაშვილის (რომელიც აგრეთვე „მხედრიონის" წევრია) სახლის ეზოში ნაპოვნი იქნა სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობის კუთვნილი ავტომანქანა „გაზ-24". 21 თებერვალს წითელწყაროს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს „მხედრიონის" ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი გია მესხიშვილი, რომელმაც 16 თებერვალს გაიტაცა ავტომანქანა „გაზ-24-10".

21 თებერვალს გურჯაანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა დააკავეს „მხედრიონის" გურჯაანის ორგანიზაციის კიდევ ექვსი წევრი: სოფელ ბაკურციხის მცხოვრები, უმუშევარი ნოდარ ჯავახიშვილი, რესტორან „ნაკადულის" მებუფეტე ვანო მესხიშვილი, გურჯაანის ეკოლოგიური პარტიის მძღოლი შოთა ჯადუგიშვილი, ბაკურციხის მეურნეობის მუშა ზურაბ სამადაშვილი, ბაკურციხის მეურნეობის მუშა ამირან ბერიძიშვილი, სოფელ გურჯაანის მცხოვრები, ადრე ნასამართლევი გოჩა ვარდიაშვილი. მათ აღმოაჩნდათ და ჩამოერთვათ „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი ორი მჭიდითა და 16 ვაზნით, თვითნაკეთი რევოლვერი, ერთი ხელყუმბარა და სხვადასხვა იარაღის საბრძოლო ვაზნები.

ამოღებული იქნა აგრეთვე „მხედრიონის" წევრების მიერ გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის რაიონების სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გატაცებული 2 ავტომანქანა „კამაზი", 10 — „ზილ-131", 1 — „ზილ-130", 1 — „უაზ 3962-01", 2 — „მოსკვიჩი", 2 — „გაზ-24" და 3 — „ჟიგულის" მარკის ავტომანქანა.

20 თებერვალს ზუგდიდის საქალაქო-რაიონული შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა დააკავეს „მხედრიონის" ხუთი წევრი: სოფელ კორცხელის მცხოვრები კოლმეურნე გულადი ბაკარანძე, რომელსაც აღმოაჩნდა „კალაშნიკოვის" ავტომატის 22 ვაზნა, მისი ძმა კოლმეურნე ჯუმბერ ბაკარანძე, რომელსაც ჩამოართვეს გატაცებული ავტომანქანა „კამაზი", ამავე სოფლის კოლმეურნე თენგიზ ლაგვილავა, მას ჩამოერთვა მცირეკალიბრიანი შაშხანა და სანადირო თოფი „შელკა", სოფელ ზედა ეწერის მცხოვრებნი, ამ სოფლის მეურნეობის მუშები მამია კვარაცხელია და აბესალომ მებონია, რომელთაც შესაბამისად ჩამოართვეს გადაჭრილი თოფი და გერმანული წარმოების პისტოლეტი ვაზნებით.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო**

შიდა ქართლი

## სიმშვიდე და წესრიგი სამაჩაბლოში

უკვე რამდენიმე თვეა, რაც სამაჩაბლოში საგანგაშო ვითარება შეიქმნა. ოსი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების წაქეზებით ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ოს და ქართველ მოსახლეობას შორის გაჩაღდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არაერთი მიმართვის მიუხედავად, ექსტრემისტები და მათ აყოლილი მოსახლეობის ნაწილი თავხედურად განაგრძობენ საომარ მოქმედებას, თავს ესხმიან ქართულ სოფლებს, მშვიდობიან მოსახლეობას და სამაჩაბლოში წესრიგის დასამყარებლად შესულ ქართული ეროვნული მილიციის შენაერთებს.

ვნებათაღელვის გამწვავება, ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ურთიერთობის დაძაბვა, ეროვნებათაშორისი შეტაკებები მხოლოდ და მხოლოდ ართულებს რესპუბლიკაში შექმნილი უძნელესი პრობლემების გადაწყვეტას. ისეთი რთული საკითხის განხილვა და გადაჭრა, როგორიცაა ეროვნებათაშორისი ურთიერთობა, მხოლოდ მშვიდ, ურთიერთხელსაყრელ და კონსტრუქციულ ვითარებაში შეიძლება.

ვერც ერთი პატიოსანი და გონიერი მოქალაქე ვერ დაეთანხმება ექსტრემისტებისა და სეპარატისტების უკანონო მოქმედებას, რომლის მიზანია საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის შევიწროება და დევნა.

ყველა ოსმა ექსტრემისტმა და მათ აყოლილმა უნდა შეიგნოს ის ფაქტი, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ოცდახუთსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს არ არსებობდა ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მხოლოდ პოლიტიკურ ავანტიურიზმად შეიძლება ჩაითვალოს ოს ექსტრემისტთა ცდები შიდა ქართლის ტერიტორიაზე შექმნან ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა, რაც ფაქტობრივად შიდა ქართლის საქართველოდან მოგლეჯას ნიშნავს. ეს მაშინ, როცა ქართველმა ერმა უცხოელ დამპყრობლებისაგან დევნილი ოსი ხალხი, მოწყვეტილი თავის მშობლიურ მხარეს, ჯერ კავკასიონის მაღალ მთიან ზოლში შეიფარა, ხოლო XVII-XVIII საუკუნეებში მთისწინა და ბარში დასახლების საშუალება მისცა. ისიც ცნობილია, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში დაახლოებით 6 ათასი ოსთა კომლი ცხოვრობდა. ამ პერიოდში ოსი მოსახლეობა, ისევე როგორც მათი გადმოსახლების ადრინდელ სტადიაში, არავითარ დევნა-შევიწროებას არ განიცდიდა და შემდგომ საუკუნეებში მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მოსახლეობასთან. ერთად იზიარებდნენ საქართველოს ჭირსა და ლხინს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოსეთში საკმაოდ ვრცელდებოდა ქართული ენა, კულტურა და სარწმუნოება, ოსი ხალხის კულტურა ვითარდებოდა ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირით და მის კეთილისმყოფელ გავლენას განიცდიდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიის შემდეგ, მდგომარეობა სამაჩაბლოში რადიკალურად შეიცვალა. ამ ძველისძველ ქართულ მიწა-წყალზე ოსების ჩამოსახლების პროცესის დაჩქარების შედეგად, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველი მოსახლეობა ამ რეგიონში უმცირესობას წარმოადგენს. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ქართველთა უფლებების დარღვევა, ჩაგვრა და დისკრიმინაცია რეალობად იქცა და ეს არ შეიძლება არ მივიჩნიოთ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევად. რაც შეეხება ოსი მოსახლეობის უფლებებს, არავინ არღვევდა, მათ არავინ ჩაგრავდა და მათ ეროვნულ ინტერესებს არავინ ლახავდა. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის შედეგი და საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ფეხქვეშ გათელვაა. უფრო მეტიც, ოსმა ექსტრემისტებმა და სეპარატისტებმა თავიანთი მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ ე. წ. ავტონომიური ოლქი „სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკად" გამოაცხადეს. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ გასული წლის დეკემბერში მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა ქართველმა ხალხმა.

ოსმა ექსტრემისტებმა, აიყოლიეს რა მოსახლეობის ერთი ნაწილი, ხელი მიჰყვეს ქართველი მოსახლეობის დარბევას, აწიოკებას, სახლების გადაწვას, მკვლელობას, ბანდიტიზმს და სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულობებს. ამან ძლიერ გაამწვავა პოლიტიკური სიტუაცია სამაჩაბლოში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არაერთი მიმართვა სეპარატისტებმა ყურად არ იღეს და კონფრონტაციის გზას დაადგნენ. შიდა ქართლში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის შენელებისა და მოსახლეობის ცხოვრების ნორმალიზაციის მიზნით, რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა ცხინვალსა და ჯავის რაიონებში შემოეღო კომენდანტის საათი და მისი ფუნქციები დაეკისრა ქართული ეროვნული მილიციის პირად შემადგენლობას, რომელიც უკვე მესამე თვეა აღნიშნულ რეგიონში მეტად რთულ და მძიმე მუშაობას ეწევა. ქართული ეროვნული მილიცია, მიუხედავად გაღებული მსხვერპლისა, თავდადებით იბრძვის, უჩვენებს პირად მაგალითს, მამაცობას, გამბედაობას, კეთილშობილებას და სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთათვის დამახასიათებელ ვაჟკაცურ შემართებას. მაგრამ ამ მიმართულებით წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, თვით ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქის მილიციის დანაყოფები მხარში რომ ამოსდგომოდნენ ქართული მილიციის მუშაკებს. სამწუხაროდ, დასამალი როდია, ამ რთულ და კრიზისულ სიტუაციაში მათგან ქართული მილიცია თანადგომას ვერ გრძნობდა. ვის, თუ არა მათ, ცხინვალის, ჯავის, ზნაურის მილიციის დანაყოფებს ყველაფერი უნდა ეღონათ იმისათვის, რომ გასაქანი არ მიეცათ ექსტრემისტებისა და სეპარატისტებისათვის ფართოდ გაეშალათ თავიანთი ანტიხალხური მოქმედებანი და ამ ქსელში არ გაებათ მოტყუებული ოსი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი.

ვის, თუ არა მათ, უნდა მიეღოთ მტკიცე ზომები ისეთი შოვინისტებისა და ერებს შორის შუღლის ჩამგდები პირების მიმართ, როგორიც არიან ყულუმბეგოვი, ჩოჩიევი, გაბარაევი, ფუხაევი და სხვები, რომლებმაც მართლმსაჯულების წინაშე უნდა აგონ პასუხი სამაჩაბლოში დატრიალებული ტრაგედიისათვის.

საქართველოს ეროვნული მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა, რომელიც შიდა ქართლში წესრიგსა და სიმშვიდეს იცავს, ძალიან შეშფოთებულია იმ ინერტულობისა და უმოქმედობის გამო, რომლებსაც იჩენენ სამაჩაბლოში მცხოვრები ოსი და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ეს ის რეგიონია, სადაც მრავლად არიან შემოქმედი, მეცნიერული ძალები, ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენცია, ხელოვნების და კულტურის მოღვაწეები, მწერლები და ჟურნალისტები, განათლების მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივი. ადგილობრივი მოსახლეობის ამ წამყვანმა ძალამ ვერაფერი იღონა შექმნილი მძიმე ატმოსფეროს განჯანსაღებისათვის, ვერ დაუპირისპირა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ექსტრემისტებისა და სეპარატისტების გამოხდომებს. სამწუხაროდ, ოსი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ამ შავბნელი ძალების მხარეზე აღმოჩნდა. ბევრმა „დახმარების ხელის" მოშველიება მოინდომა ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკიდან და მათი მფარველი მოსკოვის კრემლიდან. ინტელიგენცია ყოველთვის იყო და არის ჩაბმული მიმდინარე პოლიტიკურ, ეროვნულ და სულიერ მოძრაობაში, ამიტომ, ბუნებრივია, სწორედ ის მიმდინარეობა, ის მამოძრავებელი ძალები იმარჯვებენ, რომელთა მხარეზე თავიდანვე დგება ინტელიგენცია. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი მძიმე ეროვნული და ერთაშორისი დაძაბულობა თავის დროზე განიმუხტებოდა, აქ რომ მოწოდებების სიმაღლეზე აღმოჩენილიყვნენ ოსი ინტელიგენციის ძალები და დროზე გაეწიათ მოსახლეობისათვის მორალური და ზნეობრივი თანადგომა.

სამაჩაბლოში შექმნილი რთული ეთნოკრიზისიდან გამოსვლა მოითხოვს:

— ყველა ექსტრემისტისა და სეპარატისტის მოსახლეობიდან იზოლაციას და პასუხისგებაში მიცემას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;

— სამაჩაბლოს ინტელიგენციის პოტენციალის მთლიან გამოყენებას ეროვნული საკითხების თანდათანობით მოგვარების თაობაზე;

— ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული რაიონების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შეტანის და ე. წ. ოლქის შექმნისას ზნაურის, ჯავის, ცხინვალის და ახალგორის რაიონებისათვის გადაცემული მიმდებარე ტერიტორიის შესაბამისი რაიონებისათვის დაბრუნებას;

— იმის გამო, რომ ზნაურის, ცხინვალის და ჯავის შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის ნაწილმა მძიმე ექსტრემალურ სიტუაციაში დახმარების აღმოჩენისას ეროვნული მიკერძოება გამოიჩინა, რითაც საგრძნობლად დაზარალდა ქართველი მოსახლეობა, მიზანშეწონილია სამაჩაბლოს მილიციის მთლიანი დაკომპლექტება ეროვნული ნიშნების მიხედვით;

— სამაჩაბლოში ქართული მილიციის ნაწილებისთვის ადგილობრივი პრეფექტებისა და საკრებულოთა გამგებლობის, მათი დეპუტატების მთლიან მხარდაჭერას და თანადგომას მოსახლეობაში არსებული უკანონოდ შენახული იარაღების ამოღების საქმეში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას მითითების — უკანონო შეიარაღებული ფორმირებებიდან ცეცხლსასროლო იარაღის ამოღების თაობაზე — შესასრულებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებმა ა. წ. 1 მარტამდე განახორციელონ ღონისძიებანი ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა ნებაყოფლობით ამოსაღებად, და თუ ასეთმა მიდგომამ შედეგი არ მოგვცა, მიმართონ იძულებით მეთოდებს, რათა სამაჩაბლოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, უკანონოდ შენახული იარაღი მთლიანად მოექცეს ქართული ეროვნული მილიციის ხელში.

—სამაჩაბლოს რაიონებში და ცხინვალში პრეფექტების რაც შეიძლება სწრაფად დანიშვნა და მათი ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

— სამაჩაბლოში ქართული მილიციის პირადი შემადგენლობის მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ მილიციის ზოგიერთმა თანამშრომელმა გამოიჩინა ორგანოს მუშაკისთვის შეუფერებელი საქციელი, სიმხდალე, შიში, უდისციპლინობა, რისთვისაც ისინი უნდა დაისაჯონ. გამომდინარე აქედან დაისვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე კადრების შერჩევისას მეტი მომთხოვნელობა და პრინციპულობა გამოიჩინონ, რათა ეროვნული მილიციის რიგებში მიღებული იქნენ შესაფერისი კადრები;

— ქ. ცხინვალის ზოგიერთ საწარმოში ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების ფაქტების გამოვლენასთან დაკავშირებით დაისვას საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე აღნიშნული საწარმოების ფუნქციონირების შეწყვეტის თაობაზე და მისი სხვა დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანის შესახებ;

— სამაჩაბლოში შექმნილი ეთნოკრიზისის მძიმე პირობებში ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებათა ოსმა თანამშრომლებმა გამოავლინეს უსულგულო დამოკიდებულება ქართული ეროვნული მილიციისა და ქართველი მოსახლეობის დაჭრილი მოქალაქეებისადმი, არ შეუშვეს სასწრაფო დახმარების სპეციალისტები, არ მიაწოდეს საჭირო მედიკამენტები, რითაც ფეხქვეშ გათელეს მოქალაქეებისადმი მედიკოსების დამოკიდებულების საერთაშორისო ნორმები. გამომდინარე აქედან, დაისვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წინაშე ზემოთ დასახელებული დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ამ საქმეში მხილებული სამედიცინო პერსონალის პასუხისგებაში მიცემისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემიდან მათი დათხოვნის შესახებ;

— ოსი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების გავლენით სამაჩაბლოს ტერიტორიაზე (განსაკუთრებით ქ. ცხინვალში) არსებული მთელი რიგი წარმოებები დაშვებული პროდუქციის ნაცვლად ამზადებდნენ ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს, რასაც მოჰყვა მსხვერპლი, ძმათა სისხლის ღვრა, აღნიშნული ქმედების თავიდან აცილების მიზნით მოხდა ელექტროენერგიის მიწოდების შეჩერება. აღნიშნულმა ზომებმა მძიმე პირობები შეუქმნა სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებებს, გამომდინარე ჰუმანური გრძნობებიდან, დღეიდან მიზანშეწონილად ჩაითვალოს აღნიშნულ დაწესებულებებში ელექტროენერგიის მიწოდება და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

— ქალაქ ცხინვალის საბჭოს დეპუტატებმა წარმოება-დაწესებულებებში, შრომით კოლექტივებსა და ფართო საზოგადოებაში სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ იმისათვის, რომ თითოეული მოქალაქე ღრმად დარწმუნდეს იმ მიღებული გადაწყვეტილების რეალობაში, რომ ოლქის შექმნა წარმოადგენდა ქართველი და ოსი მოსახლეობის დაპირისპირების იარაღს, ბზარს უჩენდა ორი ერის საუკუნეობრივ მეგობრობას, აქეზებდა სეპარატისტულ ძალებს ქართული მიწა-წყლის დაქუცმაცება-დანაწევრებისათვის, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში ყველა პირობა იქნება შექმნილი ოსი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის; განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ლტოლვილთა შინ დაბრუნების, ხანძრით მიყენებული ზარალის ანაზღაურების, მათთვის ნორმალური სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს;

— ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ბატონმა ლუდვიგ ჩიბიროვმა, რომელიც საღი გონებითა და ოპტიმისტური განწყობილებით აღიქვამს არსებულ ვითარებას, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებანი, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის, არ მისცეს საშუალება თავისი კოლექტივის არც ერთ წევრს აჰყვნენ ექსტრემისტებისა და სეპარატისტების მზაკვრულ მიზნებს. მთელი კოლექტივი ღრმად დაარწმუნოს იმაში, რომ სამაჩაბლოში მომხდარია გაუგონარი, პროვოკაციული აქცია, რომელიც ალბათ თაობიდან თაობამდე გაჰყვება როგორც სამარცხვინო ლაქა ქართველი და ოსი ერის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიის მატიანეში. ოსი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების „რესპუბლიკობანას" ამიერიდან წერტილი უნდა დაესვას. ამ საქმეში პედაგოგიური ინსტიტუტის სამიათასიანი კოლექტივი მხარში უნდა ამოუდგეს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლ ქართველი და ოსი მოსახლეობის პროგრესულ ძალებს.

— სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და ოსების ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობაზე მეტყველებს ამ ორ ერს შორის არსებული შერეულ ქორწინებათა ნიადაგზე შექმნილი ოჯახები (45 პროცენტი), საჭიროა თითოეულმა მათგანმა მოწოდებით მიმართოს ექსტრემისტებს და მათ აყოლილი, მცდომაში შესული მოსახლეობის ნაწილს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი აქცია, ძმათა შორის სისხლისღვრა, თავდასხმები, მკვლელობები და განუკითხაობა, ვინაიდან დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს სჭირდება ერთ მუშტად შეკრული მრავალეროვანი საქართველო, რომელიც პოლიტიკურად, მორალურად, ეკონომიკურად და სულიერად ერთიანი და მტკიცე საფუძველზე დაყრდნობილი იქნება.

— სამაჩაბლოში არსებული მძიმე ეთნოკრიზისიდან გამოსავლის ერთ-ერთი ხელშემწყობი და მტკიცე გარანტიის მომცემია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთელი ძალით ამოქმედება. საჭიროა აღდგეს „ჩატეხილი ხიდი" ქართველებსა და ოსებს შორის, ამისთვის მიზანშეწონილი იქნება საქტელერადიოკომიტეტმა შემოიღოს რუბრიკა „ქართველებისა და ოსების ტელეხიდი", სადაც მკაფიოდ იქნეს ნაჩვენები ქართული და ოსი მოსახლეობის ისტორიული წარსული, ეთნოგრაფიული ყოფის, მეგობრობისა და თანადგომის უტყუარი დოკუმენტები, ქართველი და ოსი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა, ფოლკლორი, ხელოვნება, პროზა, პოეზია და სხვა საინტერესო მასალები, რომლებიც კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის, ეროვნული, ზნეობრივი იდეალების ყოველდღიურ ცხოვრებაში დაკანონების, სამართლიანობის, წესრიგის, ხალხის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნისაკენ იქნება მიმართული.

**ვივი ქვანტალიანი,**
ქ. ცხინვალის კომენდანტი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის გენერალ-მაიორი

## ვითარება ცხინვალში

**21 თებერვალს** საღამოს 8 საათიდან 22 თებერვლის დილამდე საქართველოს მილიციის შტაბს ავტოინსპექციის საგუშაგოსთან და სოფელ თამარაშენს ცეცხლს უშენდნენ ოსი ექსტრემისტები.

სროლა დაიწყო ცხინვალის სასაფლაოსთან და ქალაქის საცხოვრებელი კვარტალების მხრიდან, მაგრამ ცხინვალის მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკები შეეცადნენ სროლის ატეხა გადაებრალებინათ საქართველოს მილიციის მუშაკებისათვის. ბედად ჩვენს შტაბში აღმოჩნდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი პრესცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე როსტოვცევი, რომელმაც დაადასტურა ექსტრემისტების მხრიდან სროლის დაწყების ფაქტი.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილმა 21 თებერვალს ჯავის რაიონში ამოიღო 4 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება. მათვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებს გადასცეს იმ რაკეტებისა და ნაღმების ნაწილები, რომლებიც ექსტრემისტებმა 17 თებერვალს დაუშინეს ცხინვალის რაიონის სოფელ სვერს.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი,** საქინფორმი

# 1921 წელი, 25 თებერვალი...

## ამბავი კიდევ ერთი იუნკერისა

„და ჩუმად ვინმე ააჟღარუნებს

სიონის ტაძრის დამტვრეულ ზარებს..."



**პარიზთან** ახლოს, ლევილის სასაფლაოზე, სხვა ქართველთა გვერდით განისვენებს ყოფილი იუნკერი ვანო ბაქრაძე. იგი დაიბადა 1900 წელს ონის რაიონის სოფელ ხეითში ვექილ ტრიფონ ბაქრაძის ოჯახში. ვანო ბაქრაძეების მეექვსე შვილი იყო — ლიდა, საშა, აკაკი, დავითი, გალინა, ვანო და დომინიკა.

1907 წელს პატარა ვანო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შეიყვანეს. აქ იგი დაუმეგობრდა შემდგომში ცნობილ მსახიობს აკაკი ვასაძეს, რომლის ოჯახშიც ცხოვრობდა ქუთაისში სწავლისას (მოგვიანებით პარიზში გამოქვეყნდა ვ. ბაქრაძის მოგონება ქუთაისის ქართული გიმნაზიისა და მისი დირექტორის იოსებ ოცხელის შესახებ).

ვანო სწავლის გაგრძელებას აპირებდა ახლადდაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში, მაგრამ მობილიზაციასთან დაკავშირებით სამხედრო გაწვევამ მოუსწრო. ამ დროს, 1919 წლის ოქტომბერში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ინიციატივით თბილისში დაარსდა ქართული სამხედრო სკოლა — იუნკერთა ორწლიანი სასწავლებელი. ვანო ბაქრაძეც იუნკერი გახდა და პირველივე საბრძოლო ნათლობა 1921 წლის თებერვალში მიიღო.

ამ ბოლო წლებში არა ერთხელ დაიწერა კოჯრისა და ტაბახმელის ბრძოლების შესახებ და ყველა ამ სტატიასა თუ მოგონებაში ხაზგასმულია იუნკერთა სკოლის მოწაფეების — 20-23 წლის ჭაბუკების თავგანწირვა და გმირობა.

„რუსის ჯარის ნაწილები დაჟინებით ცდილობდნენ ტაბახმელის ხელში ჩაგდებას და თბილისისკენ გზის გაკაფვას, ხან ერთ სანგარს, ხან მეორეს გამოგვიგდებდნენ შემოუტევს, მაგრამ მოგერიებული იქნენ" — იხსენებს ყოფილი იუნკერი კუკური თოხაძე („კავკასიონი" № 15).

„თბილისისკენ რუსები ჩვენს გვამებზე გადაივლიანო", გადაწყვიტეს იუნკრებმა და მართლაც, მათ ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. ისინი ღირსეულად [illegible]

ბევრი იუნკერი დაიღუპა ამ უთანასწორო ბრძოლაში. მათ გვერდით დაეცა მოწყალების და მარო მაყაშვილი. მათი უკანასკნელ გზაზე გაცილება ოკუპანტთა წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციად იქცა. მგლოვიარე თბილისმა დიდი პატივით დაკრძალა ისინი დღევანდელი მთავრობის სახლის ადგილას მდგარ ტაძრის ეზოში.

მაგრამ ქართველთა თავგანწირვა და გმირობა საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. რუსული ჯარის ნაწილების ალყა ვიწროვდებოდა თბილისის გარშემო. არმიის გადასარჩენად, მთავარსარდალმა გ. კვინიტაძემ უკანდახევა ბრძანა.

ქართულ ჯართან ერთად იუნკრებმა ჯერ მცხეთის, შემდეგ კი ხაშურის პოზიციებისაკენ დაიხიეს, მაგრამ კონტრშეტევის განხორციელება არ მოხერხდა. ჯარმა ბათუმისკენ აიღო გეზი. აქ საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე, მთავრობამ დროებით შეწყვიტა თავისი უფლებამოსილება, ხოლო 1921 წლის 17 მარტს დატოვა ბათუმი. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში გამგზავრება ბევრი კულტურის მოღვაწე(?). მთავარსარდალმა და იუნკერთა სკოლის ხელმძღვანელობამ ალ. ჩხეიძემ იუნკრებს არჩევანი შესთავაზეს: „ვანო ბაქრაძეს არ ვეკითხებით, მიმყავს. დანარჩენება კი გადაწყვიტეთ" — გამოუცხადებია გენერალ კვინიტაძეს.

„დავრჩეთ თუ წავიდეთ? დარჩენა მტრის სამსახურში ჩადგომას უდრიდა; წასვლით კი შეიძლება [illegible] უმაღლესი ცოდნა მიგვეღო და მომავალში განთავისუფლებულ საქართველოში ცოდნით აღჭურვილნი დავბრუნებულიყავით... ზოგმა ჩვენგანმა სახლში დაბრუნება არჩია..." — წერდა ნ. მათიკაშვილი.

ვანოს მშობლებმა შვილის გამგზავრება ახლობლებისგან შეიტყვეს; ერთმა ნათესავმა [illegible] ვანო შორაპანში ნახა, მეორემ — ქუთაისში.

რამდენიმე დღის შემდეგ ლტოლვილები კონსტანტინოპოლს მიადგნენ.

„კონსტანტინოპოლში 69 იუნკერი ჩამოვიდა. როცა გამოირკვა, რომ დრო მიდის და ლტოლვილთა ბედი, მათ შორის იუნკრებისაც გაურკვეველია, რომ მათ თავის თავზე თვითონვე უნდა იზრუნონ, 14 იუნკერი სამშობლოში დაბრუნდა... დანარჩენ იუნკერთა საკითხი კვლავ ღია რჩებოდა... ჩემი შუამდგომლობის შედეგი ის იყო, რომ 5 იუნკერი საფრანგეთის ერთ-ერთ სამხედრო სკოლაში გაიგზავნა, 13 იუნკერი — საბერძნეთის სამხედრო სკოლაში. ამრიგად რჩებოდა ადრე 30-მდე იუნკერი. მათ მიმართ ხელისუფლებამ გამოიჩინა [illegible], დაბრუნებინათ სამშობლოში. როცა იუნკრებმა ეს შეიტყვეს, უარი განაცხადეს დაბრუნებაზე" — წერდა თავის მოგონებებში გ. კვინიტაძე.

1921 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის სენ-სირის სამხედრო სკოლამ მიიღო 5 იუნკერი — გიორგი ოდიშელიძე, კუკური თოხაძე, ივანე ვაჩნაძე, ჯინჭარაძე და კინწურაშვილი, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ კოლონიალურ ჯარებში მსახურობდნენ და II მსოფლიო ომის დროს ებრძოდნენ ფაშისტებს. 13 იუნკერი ათენის სამხედრო სკოლის მსმენელები გახდნენ, დანარჩენები კი პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში ჩაირიცხნენ.

1922 წელს, შემოდგომაზე, საბერძნეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო იუნკრები იძულებული გახდნენ ათენის სამხედრო სკოლა დაეტოვებინათ. ისინი პოლონეთში გადავიდნენ და შეუერთდნენ თავიანთ მეგობრებს.

პოლონეთის სამხედრო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ მათ მიიღეს ოფიცრის ჩინი და მივლინებულ იქნენ სხვადასხვა პოლკებში. ვანო ბაქრაძე მსახურობდა ულანთა მე-17 პოლკში როტმისტრად.

II მსოფლიო ომის დროს პოლონეთის მხარეს იბრძოდა 6 ქართველი გენერალი, 9 პოლკოვნიკი, 11 მაიორი, 9 კაპიტანი და 46 იუნკერი (დანარჩენი იუნკრები ომამდე დაიღუპნენ). აქედან 16 დამთავრებული ჰქონდათ სამხედრო აკადემია, ოთხს საინტენდანტო სკოლა. ისინი ომში არ გაუწვევიათ, მათ თვითონ მოითხოვეს გაწვევა.

პოლონეთის დამარცხების შემდეგ შეიქმნა პარტიზანული რაზმები, რომლებშიც ქართველები იბრძოდნენ, მათ შორის მაიორი ვანო ბაქრაძეც.

ვარშავის დამცველთა შორის იყვნენ პოლკოვნიკი თევზაძე, მაიორი არონიშიძე და ალავიძე, კაპიტანი ლადიძე, ვარშავაში გერმანელებმა დახვრიტეს არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, აპოლიტიკური ათარბეგიშვილი, დატუსაღეს ინჟინერი ხიხილი. პარტიზანთათვის იარაღის მოპოვებისას დაიღუპა კაპიტანი ხუნდაძე.

პოლონეთში შესვლისთანავე საბჭოთა უშიშროების ძალებმა ნადირობა დაიწყეს პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველ ემიგრანტებზე(?). შეიპყრეს და 10 წლით ციმბირში გადაასახლეს იუნკრები — ლადო ციბაძე, ტატო რაჭიშვილი (გადასახლებაში მოკლა ბანაკის დარაჯმა), გრიშვილი და კვალიაშვილი.

ერთ დილას ტყეში ჩაძინებულ ვ. ბაქრაძეს თავს საბჭოთა უშიშროების ორი ოფიცერი წამოადგა. ვანო მიხვდა, რომ ჩავარდა და „ვაიმე დედაო" — უნებურად წამოცდა თურმე. დატუსაღებული წამოიყვანეს. ამ დროს გაისმა სროლის ხმა და წინ მიმავალი ჩეკისტი წაიქცა. როცა შეშინებულმა ტყვემ უკან მოიხედა, მეორე ჩეკისტმა ქართულად წასჩურჩულა: „თავს უშველეო".

თავდახსნილი ვ. ბაქრაძე ახლა ორ წყალს შუა აღმოჩნდა — ერთი მხრივ ფაშისტები, მეორე მხრივ — ჩეკისტები; ან ერთი მხარე შეიპყრობდა, ან მეორე.

ოკუპირებული ვარშავის მოსახლეობის დიდი ნაწილი გერმანელებმა ბანაკებში შერეკეს, საიდანაც მათ შრომისუნარიანობის მიხედვით ანაწილებდნენ. ნიკოლოზ მათიკაშვილმა შექმნილი მდგომარეობა აცნობა ბერლინელ ქართველობას და სთხოვა ზომები მიეღოთ ბანაკში მოხვედრილ ქართველთა გადასარჩენად. მალე ბერლინიდან ვარშავაში ჩამოვიდა პროფესორი გიორგი ნაკაშიძე, რომელმაც გერმანელ ხელისუფალთა უფლებამოსილება ჩამოიტანა. ეს რწმუნებები მან შემდეგ ნ. მათიკაშვილს გადააბარა. მას უფლება ჰქონდა ბანაკებში შესულიყო, ქართველები გამოეყვანა და გზა მიეცა.

„ბანაკიდან ყველა ნაპოვნი ქართველი გამოვიყვანე, არაერთხელ პოლონელებიც ქართველებად გამისაღებია და ბანაკიდან გამომიყვანია. პოლონელები თავიანთ ოჯახებში ბრუნდებოდნენ, ქართველები კი დასავლეთის გზას ადგებოდნენ" — იხსენებს ნ. მათიკაშვილი.

როგორც ჩანს, ამ აქციაში მონაწილეობას ვ. ბაქრაძეც იღებდა, ვინაიდან ქართველმა ქირურგმა [illegible] 1947 წელს აკაკი ბაქრაძეს მისწერა, ტყვეობიდან მის დამხსნელ ვანო ბაქრაძეს [illegible]. მაშინ ამის გამჟღავნება ძალიან საშიში იყო, ამიტომ დაწვრილებით არავის გამოურკვევია ვ. ბაქრაძის როლი ტყვეთა განთავისუფლებაში.

[illegible] იგი თვითონაც შეიპყრეს გერმანელებმა.

გერმანიის დამარცხების შემდეგ, იგი საბჭოთა ზონაში მდგომ ინგლისის საოკუპაციო ჯარში აღმოჩნდა. ერთ დღეს მას ინგლისელებმა აცნობეს, რომ ბანაკი რუსებისთვის უნდა ჩაებარებინათ, ამიტომ მისცეს სხვის გვარზე გამოწერილი საბუთი, მანქანა და გაუშვეს. ვანო ბაქრაძე გადარჩა სასჯელს და საფრანგეთში გადავიდა.

პარიზში მან მოძებნა თავისი მეგობარი, თადარიგში გასული ყოფილი იუნკერი შოთა ნიკოლაძე, ორი იუნკერი — შოთა ნიკოლაძე და კუკური თოხაძე ამ დროს უკვე [illegible] იყვნენ — ისინი დაქორწინდნენ ვახტანგ ლამბაშიძის ქალიშვილებზე მედეაზე და სუსანაზე.

ნიკოლაძეების ოჯახმა გულთბილად მიიღო ლტოლვილი და დიდი ხნით შეიფარა.

„მედეა ლამბაშიძე-ნიკოლაძისა, რომლის ოჯახშიც მე ვცხოვრობ [illegible]



[illegible]

[illegible]

# ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

# პირველი მსხვერპლი ქალი...

...ის იყო დაიბრუნა საქართველომ 117 წლის წინათ დაკარგული თავისუფლება და 1918 წლის 26 მაისი ქვეყნის განახლების ხანად დაისახა, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა სიხარული — მეფის რუსეთის შემდგომ წითელმა რუსეთმა ხელჰყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის თავისუფლება.

ზუსტად 70 წლის წინათ, 1921 წლის თებერვალში მოხდა საქართველოს ანექსია და ამ სევდიან წლისთავზე კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ საოცარი ქართველი ქალი მარო მაყაშვილი, თბილისის მისადგომებთან გამართული გააფთრებული ბრძოლებისას გმირულად დაცემული 19 წლის ასული, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთის წინამორბედი — „საქართველოს რესპუბლიკა" (1921 წ. 23.II, № 41) პირველ გვერდზე იუწყებოდა, რომ „მტერთან ბრძოლის პირველი მსხვერპლი ქალის, თავგანწირულად და გმირულად თავის მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულის მოწყალების დის, უნივერსიტეტის სტუდენტის მარო მაყაშვილის დაკრძალვა მოხდება სამხედრო ტაძრის გალავანში ოთხშაბათს 23 ამა თებერვალს, დღის 12 საათზე".

გაზეთები, განსაკუთრებით „საქართველოს რესპუბლიკა" გადაშავებული იყო დედაქალაქის დაცვის მსხვერპლთა გვარებით, სამგლოვიარო განცხადებებით თუ ნეკროლოგებით.

რამდენი სიცოცხლე ჩაქრა, რამდენი ოცნება. მარო მაყაშვილი თავისი დროის, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს ხანის უნებლიე მემატიანედ გვევლინება გულწრფელ და გულმხურვალე ჩანაწერებში, რომელთა ნაწილი შარშან გავაცანით მკითხველს.

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ფრაგმენტს:

**სამშობლოსა და წარსულის განცდა:** „ვიყავი „ღვთაებაში" იყალთოსგან ნახევარ ვერსზე არის. კარგი ეკლესიაა. იქ ძველებური ხატებია იესო ქრისტესი. ვემთხვიე მათ. შევავედრე მუდმივი ჩემი ნატვრა და გულდამშვიდებული გამოვედი. დავათვალიერე იქაურობა. ჩემი ბებიის და პაპის საფლავებიც ვინახულე, კარგად იმოქმედა ჩემზედ მაგ სანახაობამ. გარშემო ტყეები, იქვე ტაძართან აკადემია, სადაც დიდებულმა შოთამ და ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება. ნანგრევებია, სადაც ეხლა მარტო გარეული ბალახია და სხვა მძრომელები დაბუდებულნი. ჩემთვის ვფიქრობდი: აი, აქ მე ვდგევარ და. ოდესღაც იქნებ ისიც განიცდიდა ამ ალაგას იმ დიდებულ გრძნობას, რომლითაც პოეტი არის დაჯილდოებული ღმერთისგან: ღვთაებიდან თითქოს კახეთი ხელისგულზეაო. ყველა სოფლები ჩანს თითქმის და თელავიც. იქიდან გადმოვედით ერთ მთაზედ, ტყეა იქაც, სადაც რამდენიმე ნანგრევებია ეკლესიების. დიდ მანძილზე ერთი ციხის დასაწყისია და მეორე მხარეს მეორე. თურმე სულ ერთად ყოფილა ეს შეერთებული. გამიკვირდა"... (1919 წ. 28 ივნისი, იყალთო).

სამშობლოსადმი სიყვარულის უწმინდესი გრძნობა, ყოველივე ქართულით—სიტყვიერებით, ბუნებით თუ ხუროთმოძღვრებით აღტაცება და გაოცება, მარო მაყაშვილის სულიერი სამყაროს დამახასიათებელი ნიშნებია.

**ამირანის თემა:** ახალქალაქში, 1919 წლის 13 აგვისტოს ჩაუწერია: „აი 12 საათია კიდეც და მე არ მეძინება. ჩემს თვალებს ძილის ნიავმა ფრთა არ შეახო. საშინლად მომინდა დღიურის წერა. საინტერესო არაფერი მაქვს რომ ჩავწერო, მაგრამ ხელის გავარჯიშება მართალი რომ ვთქვათ, მომსურდა".

...აქ თავის ძმასთან — შალვასთან და პატე მგალობლიშვილის ოჯახთან ერთად ახსენებს ბიძას—დედის ძმას — რევაზ გაბაშვილს. (ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი, ცნობილი პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატი, გარდაიცვალა ემიგრაციაში), რომელთანაც ძალიან შეამხანაგებული იყო:

...„საწყალი რეზიკო რომ დაიჭირეს ბოლშევიზმს აბრალებენ, ამაზე გული მოგვდიოდა. ესეც შენი სიტყვის თავისუფლება. პატემ კარგად სთქვა, სიტყვის თავისუფლება ნიკოლოზის დროსაც იყო თუ კი მასზედ კარგ რამეს დასწერდნენ.

ის არის საწყენი, რომ თავისივე ერი, თავისივე მოძმე გავიწროვებს. სხვა ყოფილიყო ისე გასაკვირველი არ არის. აქ კი ქართველი-ქართველსავე ავიწროებს. კახეთი ჯერ ჯერობით სდუმს, მაგრამ მათი ფიალა თურმე ივსება, რამდენიმე წვეთი და გადმოვა სიჩქარით, შეუჩერებლივ. მაშინ ამ სტიქიას ვერც ერთი ვერ გაუდგება. მუდამ ვწერდი ყოველ მოთხრობაში ჩემდამი მოგონილში. ამირანმა ასწყვიტა თავის ჯაჭვი და საქართველო გაათავისუფლა მეთქი. ეს ილუზია იყო მარტო. თურმე იგივე ამირანი უფრო გაუწყვეტელი ჯაჭვებით არის შებოჭილი და მის გაწყვეტას დიდი, ძალიან დიდი დონე უნდა.

აგრე ადვილი არ ყოფილა თავისუფლების მიღება. ჯერ რამდენიმე ხელში უნდა გაიაროს, გამოსწოვოს უკანასკნელი წვეთები და როცა დაუძლურდება მერე მიაგდოს როგორც გამოუსადეგარი რამ. ესეც ჩვენი ცხოვრება. მტრობა გაუთავებელი".

ვგლახ, რომ აზდა ფარული შიში... თავისუფლება ხანმოკლე გამოდგა...

თავის „მოგონილ" მოთხრობებს ახსენებს, რომლებსაც უქებდა მამა — კოტე მაყაშვილი და რომლებიც სავალალოდ დაკარგულია. ორად-ორი პატარა მოთხრობა გამოვარჩიეთ მაროსეული დღიურიდან მწერალ ნოდარ წულეისკირის თხოვნით რუსთაველის საზოგადოების ოპოზიციური ლიტერატურის კრებულის „ამირანისათვის", რომელიც შარშან გამოსცა „განათლებამ" და კოოპერატივმა „ისტორიკოსმა" ბატონ ნოდარ წულეისკირისავე რედაქტორობით. ამ ორმა პატარა მოთხრობამ, ორმა სწრაფმა ესკიზურმა ჩანახატმა (გაზაფხული", „ფიქრები წყაროსთან" — დასათაურება ჩვენია, ნ. ღ.) უფრო გაგვიმძაფრა სინანულის გრძნობა დაკარგული მოთხრობების მიმართ, მითუმეტეს ამ წერილის წაკითხვის შემდეგ:



**„ჩემო კარგო და კეთილო მარო! მივიღე შენი ორი წერილი. ძალიან მასიამოვნა შენმა კარგათ ყოფნამ და ბეჯითობამ სწავლაში. ასე, ჩემო მარო, ისწავლე კარგად, იყავ ყოჩაღი. შენი კარგი სწავლა, კარგი ყოფაქცევა შენვე გამოგადგებიან ცხოვრებაში და შენის წარმატებით გაიხარებენ შენი მშობლები. შენი მოთხრობა მომეწონა. სხვებსაც წავუკითხე. ბევრი გაქეს. თავისუფალი დრო რომ ყოველთვის წერას და კითხვას მოანდომო, კარგი მწერალი გამოხვალ და დიდს სამსახურს გაუწევ საყვარელ სამშობლოს. მიაქციე ყურადღება მუსიკას; იბეჯითე, იყავ შემდეგშიაც ისეთი კარგი და კეთილი, როგორიცა ხარ და მეც და დედაშენიც ბედნიერები ვიქნებით შენის ბედნიერებით. ბევრი ვიტეხე თავი შენს გამოცანაზედ და თუ არ ვცდები, გამოვიცანი.**

**...ნახვამდის ჩემო კარგო! აკოცე ძმას, დებს და დედას. ბაბოს მოკითხვა.**

**შენი მამა კოტე.**

რამდენ გრძნობას, შეგონებას იტევს ღია ბარათზე დაწერილი ეს ლექს-წერილი. ბარათიც საგანგებოდ შეურჩევია მამას მომღიმარი გოგონა მანდოლინით ხელში წარწერით Міупоп... ეს ხომ გოეთეს ცნობილი ნაწარმოების „ვილჰელმ მაისტერის" მინიონია, სამშობლოს მონატრული მოხეტიალე მსახიობი გოგონა, რომლის სევდიანი სიმღერაც ესოდენ პოპულარული იყო: „იცნობ, იმ მხარეს უნარინჯოვანს"... და რომელიც თავის მაროს აგონებდა ალბათ პოეტს.

...არაერთი ლირიკული გადახვევაა მაროს საიდუმლო რვეულში. იგი საოცრად წრფელად და ემოციურად გამოხატავს საკუთარ სულიერ სამყაროს, საკუთარ განცდებს ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით. ავიღოთ თუნდაც რელიგია და თეატრი!

„რა მხიარულად გავატარეთ გუშინდელი დღე. დილის 10 საათზე ელიჩკამ, თამარა ჭინჭარაძემ, კოსტამ და სანდრიკამ გამომიარეს მეტეხში წასასვლელად (აქ ახალქალაქის მახლობელი მეტეხი იგულისხმება, ნ. ღ.) ამ დღეს ყოველ წელიწადს დიდი უქმეა — 15 მარიამობისთვის ძველი სტილით. თეთრ კაბებში გამოწყობილებმა გავსწიეთ. თითქმის ვერც კი გავიგეთ, როგორ მივედით საყდრამდის, საზეიმო ხალხი ბევრი იყო, მაგრამ არც იმდენი, რამდენიც წინა წლებში. ვილოცეთ ღვთისმშობლის ხატის წინ, სამჯერ შემოვუარეთ ტაძარს" (1919 წლის 29 მარიამობისთვე).

...და ვხედავ მას ცხადად, თეთრი კაბით, სანთლებით ხელში, თვალებანთებულს მარიამობას — მისთვის ყველაზე საზეიმო დღეს, სამშობლოსათვის მხურვალედ მლოცველს, ისევე, როგორც „ღვთაებაში" მავედრებელი თავის მუდმივი ნატვრის — ძნელი არ არის ამოცნობა — საქართველოს თავისუფლების შენარჩუნებაა ეს ნატვრა!

ვხედავ ახალქალაქშივე საქველმოქმედო მიზნით გამართულ საღამო წარმოდგენებზე, რომლებსაც ქართული ჰიმნით ამთავრებდნენ:

...„ქართული ჰიმნი დავიწყეთ, ყველა ავაყენეთ ფეხზე"...

...მერე ქართულ თეატრში, „მარგარიტა გოტიეს" პირველ წარმოდგენაზე:

— „ოპერა მიყვარს, მაგრამ დრამა სულ სხვაა" — აღიარებს იგი... ფანტასტიურ ამბად მიაჩნია სცენაზე გამოსვლა.

...„ნუცა ჩხეიძის გასტროლები იყო. არ ვიცი, მაგრამ მართალი რომ ვსთქვა არ მომეწონა. მარგარიტა სულ სხვანაირად მყავდა წარმოდგენილი და როგორი ვნახე? უკანასკნელ სცენებში კი მართლა მომეწონა".

...მართლა მომეწონა!.. როგორი უტყუარია რვეულთან განდობილი ეს შთაბეჭდილება. თავდავიწყებამდე იტაცებს თეატრი, რომელიც „ავიწყებს ადამიანს რომ ეგ მარტო გარდმოცემაა ყველაფრის და ნათლად წარმოადგენს ამ სურათებს. ხანდისხან ვზივარ თეატრში და მაძაგძაგებს წუთებით მავიწყდება, რომ ეს მარტო წარმოდგენაა და ოფლი მესხმევა, მგონია, რომ მართალია".

თეატრში ისე გრძნობს თავს, როგორც სახლში, განსაკუთრებით „არტისტულში" და ლირიკაზე მეტად მაინც პოლიტიკური განსჯა ჭარბობს მაროსთან.

„ყოველი სოციალისტის ლაპარაკში ეხლა ნაციონალურ პატრიოტული ელემენტიც შეიპარა. ყველამ იგრძნო რომ საქართველოში სოციალისტობა შეუძლებელია, მაგრამ სოციალისტებს არ უნდათ, რომ სხვებმა ჩააჩუმონ ისინი და მაინც მაგ პარტიას ალმერთებენ. აი რა ხდება ეხლა საქართველოში, რომელიმე ქართველი მეფე ამას წარმოიდგენდა"!— წამოიძახებს იგი და თამარისა და დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე ხანას შენატრის.

...„მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სრულიათ ეღირსება ამ ბედშავს ერს თავისუფლება. მაშინ იქნება მისთვის აუწერელი ბედნიერება. ყოველი ადამიანი მას აღტაცებით მიეგებება, როგორც მშობელს. მაშინ მზეც მხიარულად გაანათებს და გაათბობს და მთვარეც გაანათებს. ძველ კვალს, რომელიც სიმართლისაკენ მიდის".

...დიდხანს დაჰპირდა საქართველოს სიმართლის კვალის ძიება, მაგრამ მადლი უფალს, დღეს ეს კვალი განათებულია!..

...„რას წარმოადგენს ადამიანი?" — საუბრობს საკუთარ თავთან ახალგაზრდა ქალი და განაგრძობს მონოლოგს: — „ის სტუმარია დედამიწის, აქ ის ლხინობს, მასთან ერთად იტანჯვის და მერე შორდება. მანამ ადამიანში ნაპერწკალი ღვივის იგი ხარობს და ტანჯობს. როცა იგი ჩაქრება, ყველაფერი ისპობა და ქრება. ესე რომ, რაც უნდა გონიერი და ნიჭიერი ადამიანი იყოს, თუ ჩაქრა ნაპერწკალი, ისიც ქრება... ადამიანის ფსიქოლოგია სულ მასზედ არის დამყარებული, ამ ერთ ბეწო ნაპერწკალზე"...

ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სტუმრობა დედამიწაზე, მისი წუთისოფელი... გაღვივება არ დასცალდა მის სულში ვარსკვლავებივით მიმობნეულ ნაპერწკლებს...

ნანა ღვინეფაძე

**ახლა, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაქვეყნა პროექტი რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ, გავიფიქრე, მარო მაყაშვილის ხსოვნას რარიგ დაამშვენებს მეთქი მედალი „მამულის სამსახურისათვის" სწორედ დაღუპვიდან 70 წლისთავზე (მარიამობისთვეში კი 90 წელი უსრულდება)! ის იყო პირველი მსხვერპლი ქალი, დე, ახლაც იყოს პირველი!...**

ნ. ღ.

1991 წლის 10 თებერვალი.

# ᲐᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

# ბოლშევიკების მუშაობა საქართველოში

**ვაქვეყნებთ** საინტერესო დოკუმენტს საქართველოს კომუნისტური პარტიის „სახელოვან მოღვაწეობის ისტორიიდან". სამწუხაროდ, ამ დოკუმენტს დასაწყისი აკლია (მოხეული აღმოჩნდა), მაგრამ დარჩენილი ნაწილიც საკმარისად ნათელს ყოფს კომუნისტური პარტიის მზაკვრულ განზრახვებს. აი დოკუმენტიც:

„20 კაცს აქვს საკუთარი იარაღი. გუნდის უფროსად ინიშნება ამხ. მატეოსი. აჯანყებისთანავე უნდა გამოყვანილ იქნეს 40 კაცი.

იარაღი, რომელიც კერძო პირთა ხელში არის, ხელში უნდა იქნას ჩაგდებული მხოლოდ „რევოენსავეტის" ბრძანებით სულ 40.

ახპატაში და კოლიზში 70 კომუნისტია, თანამგრძნობი კი 60.

იარაღის ქვეშ გამოუსადეგარნი გაწვეულ იქნან ზურგის სამსახურში.

„რევოენსოვეტს" უფლება ეძლევა დაითხოვოს არჩეული „რევოენსოვეტი" თუ იგი არასასურველი აღმოჩნდა და მის ადგილას დანიშნოს შესაფერი.

თუ შევძლებთ ძალაუფლების ხელში ჩაგდება „რევოენსოვეტი" აცხადებს მობილიზაციას.) ვინც მობილიზაციას დაემალება, მიეცეს საგანგებო სასამართლოს.

„რევოენსოვეტი" ეხლავე თავის წევრების საშუალებით ადგენს მობილიზაციით გაყვანილთაგან გუნდებს. პრინციპი დანიშვნითია.

„რევკომთან" ახლავე დგება რაზმი ცენტრის დასაცავად. „რაზმის მოწყობა დროებით მიენდოს „რევოენსოვეტის წევრს ამხ. სედრაკს". თავმჯდომარე გრ. არუსიანი.

წევრები მატეოს მურადიანი და სედრაკ სარქისიანი

„საქართველო",

1921 წ. 8 თებერვალი (№25).

# ნოე ჟორდანიას მოწოდება

## მთავრობის თავმჯდომარემ გაგზავნა რადიოთი

## 16 თებერვალს შემდეგი დეპეშა:

**მთელი** ქვეყნის ხალხებს და ყველა მთავრობებს.

ქართველი ხალხის და მისი მთავრობის შეურყეველმა მისწრაფებამ მშვიდობიანად და მეგობრულად ეცხოვრა ყველა ხალხებთან, ვეღარ აილებინა ხელი ჩვენ მეზობლებს — საბჭოთა რესპუბლიკებს ჩვენს წინააღმდეგ საზიზღარ თავდასხმაზე.

საბჭოთა სომხეთმა და აზერბაიჯანმა რუსთა წითელ ჯარის საშუალებით, ომის ფორმალურად გამოუცხადებლივ, გამოილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი დამოუკიდებლობის მოსასპობად და ქართველი ხალხის დასამონავებლად.

თქვენ უნდა იცოდეთ ყველამ, რომ ამით რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტ-მოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულებები, მან გადასწყვიტა, წითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიღაბის ქვეშ, შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა.

მთელი ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ჩვენ, რომ ქართველ ხალხს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ბრძოლა უკანასკნელ სულის თქმამდე თავის უსაშინლეს მტერთან.

ამ მძიმე ისტორიულ მომენტში ქართველი ხალხი გამსჭვალულია მხოლოდ ერთი მისწრაფებით: დამოუკიდებლობა ან სიკვდილი!

და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ ბრძოლაში ყველა კულტურულ ხალხთა თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე არის.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე

ნოე ჟორდანია.

„საქართველო",

1921 წ. 18 თებერვალი (№38).

მასალები მოგვაწოდა სულიკო ნუცუბიძემ.

## საკუთარ სახლში

# მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას

...თავს ესხმოდნენ საქართველოში დისლოცირებულ საბჭოთა არმიის ნაწილებს, რაც ქმნიდა იმის საფუძველს, რომ საქართველოში განხორციელებულიყო კრემლისეული გეგმა ხელახალი ინტერვენციისა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად აღნიშნულმა ძალებმა იარაღი არ ჩა-... ...ლი და გაერთიანებულიყვნენ ეროვნულ გვარდიაში ან შევსოთ ეროვნული მილიციის რიგები. თავიანთი ნებით იარაღის ჩაბარების შემთხვევაში მათ ეძლეოდათ უსაფრთხოების გარანტია და მათზე არ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის შესაბამისი საქმე.

მიუხედავად ამისა „მხედრიონმა“ მისი ლიდერის, ადრე ორჯერ ნასამართლევი ჯაბა იოსელიანის ... ...ბების დაცვისა, თავად კანონის უზენაესობის აზრის დამკვიდრებისათვის, რაც საფუძველს შექმნის გარდამავალ პერიოდში დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.**

# ტალონებს ყავლი გაუვიდათ

## ანუ პროდუქტების შეძენის ახალი წესები

**ერთი** წუთით, ქალბატონო! — ვეუბნებით ხანდაზმულ მანდილოსანს და ისიც ჩერდება, აღმართმოღლილი სულს ძლივს ითქვამს, თან ცნობისმოყვარედ გვათვალიერებს და ელის, რას ვკითხავთ, რა გვაინტერესებს.

ჩვენ კი:

— საბარათო სისტემის გაუქმებაზე რა აზრის ბრძანდებით?

ძალიან კარგისო, ღიმილით გვიქნევს თავს და მერე დინჯად, სვენებ-სვენებით გვიხსნის:

— ტალონებმა რომ გაგვაწვალეს, ეს ფაქტია. წინა თვეს, მაგალითად, ბევრი მათგანი გამიუქმდა: ან რიგში ვერ ჩავდექი — უსაშველოდ გრძელი იყო, ან ჩავდექი და, გათავდაო, არა მომიწია რა, ანდა სულაც ვერსად ვერაფერს წავაწყდი. მაღაზიებს რომ მივამაგრებენ, მივალთ და...

თქმა არ უნდა, დღეს ეს საკითხი ყველა თბილისელს აინტერესებს. მოქალაქეებს უამრავი კითხვა გაუჩნდათ: მოასწრებენ თუ არა სახლმმართველობები 1 მარტამდე სიების შედგენა-მოწესრიგებას, ხოლო რაიაღმასკომები მათს მაღაზიების მიხედვით განაწილებას; რა ეშველებათ ნებსით თუ უნებლიეთ სიებს მიღმა დარჩენილ ადამიანებს, როგორ და რა წესით გაიცემა პროდუქტი და ა. შ.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, შეძლებისდაგვარად გაგვერკვია ყველაფერი, საამისოდ კი თავდაპირველად ქალაქის ერთ-ერთ სახლმმართველობას ვესტუმრეთ.

...აქ ამ დღეებში ფიცხელი „ბრძოლები“ გადაუტანიათ №59 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის მუშაკებს.

— დილით სამსახურში რომ მოვედი, იმდენი ხალხი დამხვდა ამ პატარა ქუჩაზე, ვიფიქრე, მიტინგს ატარებენ-მეთქი, — ამბობს პასპორტისტი ნაზი გაბედავა, — მერე კი დაიწყო და რა დაიწყო: ყველას უნდოდა პირველი ყოფილიყო, სიიდან არ გამორჩენილიყო. 20 თებერვლამდე ვერ მოვასწრებთო, განიცდიდნენ უკანანი. თუმცა რა გასაკვირია, ხალხს ყველაფრის ეშინია...

არადა, როგორც გავარკვიეთ, საშიში არაფერი ყოფილა. თუ შემთხვევით ვინმემ ვერ მოახერხა დროულად მოხვედრილიყო სიაში, შედგება დამატებითი სიები. ამისთვის კი საჭიროა კერძო ან ამხანაგური ბინების მფლობელებმა სახლმმართველოებში წარადგინონ საბინაო წიგნაკები.

...ქალბატონი ნაზი ახლაც ღელავს. მართალია, ყველა კომუნალური სახლის ბინადართა სიები უკვე გადავეცით რაიაღმასკომს, მაგრამ კერძო ბინების მფლობელებთან ჯერ ეს საქმე არ დაგვისრულებიაო, გვიხსნის ნერვიულობის მიზეზს. თუმცა იქვე გვაიმედებს, 1 მარტამდე ყველაფერს მოვასწრებთ და მოვაწესრიგებთ, მთავარია საბინაო წიგნაკები მოგვიტანონო დროულად.

ჩვენ კი, უფრო მეტი რომ შეგვეტყო, ახლა თბილისის ერთ-ერთი, თუნდაც ვაკის რაიაღმასკომისკენ გავეშურეთ.

— ჯერ ის ვთქვათ, რომ გამოიწვია საბარათო სისტემის გაუქმება, — გვეუბნება ვაკის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე არმაზ შამანაური, — მართალია, ცოტა უხერხულიც კია ამაზე საუბარი, მაგრამ ფაქტს ვერსად დავემალებით, ბევრმა მოქალაქემ საბარათო სისტემას მრავალი სუსტი ადგილი მოუძებნა: ვინ — რამდენიმე ადგილას იღებდა ტალონს, ვინ კმაყოფაზე მყოფის უფლება მოიპოვა და ამ გზით ცდილობდა ზედმეტი ბარათის ხელში მოგდებას. ეგეც არაფერი, იყო შემთხვევები, როცა იბეჭდებოდა ყალბი ტალონები. ერთი სიტყვით, თბილისში ყოველთვიურად 150-200 ათასი ბარათით მეტი იბეჭდებოდა, ვიდრე მოსახლეობაა ქალაქში. რესპუბლიკის მთავრობაც იძულებული იყო დაესაქონლებინა ტალონები და, მაგალითად, იანვარში 50-100 ტონით მეტი კარაქი გაიყიდა.

არმაზ შამანაურის აზრით, საბარათო სისტემის გაუქმება და მოქალაქეთა მაღაზიებზე მიმაგრება ერთადერთი სწორი გამოსავალია. მართალია იგი თავიდან ბევრ სირთულეს შექმნის, მაგრამ....

— ყველაფერს დრო უნდა, — ამბობს იგი, — მიჩვევაა საჭირო, თორემ, სხვა მხრივ, ბევრი რამ ძალზე გაიოლდება, აი, თუნდაც: მიდის მოქალაქე კონკრეტულ მაღაზიაში, გამყიდველი მოძებნის მის გვარსა და სახელს, ხელს მოაწერინებს, შემდეგ კი მისცემს ყველა იმ პროდუქტს, რაც ეკუთვნის.

მართლაც იოლია, ოღონდ ერთი რამ: შეუძლია თუ არა ოჯახის ერთ-ერთ წევრს თავისი პასპორტით აიღოს მთელი ოჯახის სარჩო-საბადებელი?

— პროდუქტს იძენს ის პირი, რომელსაც ხელზე აქვს ბინის ძირითადი დამქირავებლის პასპორტი.

მაშ ასე: მოქალაქე შედის მაღაზიაში და... დგება რიგში.

— რიგში? რატომ რიგში? — გვეკითხება არმაზ შამანაური, — თუმცა მართალია, თავიდან იქნება რიგები. ვიდრე გამყიდველები მიეჩვევიან თავიანთი მუდმივი მყიდველების სახეებს, სიებში ფუთფუთი და ძებნა მოუწევთ. მერე და მერე, ეგ საქმეც გაიოლდება. გარდა ამისა, რიგების მაქსიმალურად შესამცირებლად გადავწყვიტეთ, ზოგიერთ მაღაზიაში სექციები კორპუსების, უბნების მიხედვით დავყოთ: ერთ სექციაში ერთი კორპუსის მაცხოვრებლები შეიძენენ პროდუქტს, მეორეში — მეორენი და ასე შემდეგ. ეს იქ, სადაც ამის შესაძლებლობას მაღაზიის ფართობი მოგვცემს, სხვაგან კი უფრო გაგვიჭირდება.

ჯერჯერობით უბნების მიხედვით მაღაზიებზე მოქალაქეთა მიმაგრება არ დამთავრებულა. ამას, როგორც აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გვითხრა, კერძო ბინების მფლობელთა სიების დაკონკრეტება უშლის ხელს.

მან ისიც აგვიხსნა, რომ პროდუქტი მიეცემა ყველას, ვინც თბილისშია ჩაწერილი — მუდმივად ან დროებით. ხოლო მათ, ძირითადად სტუდენტებს, რომლებიც არ არიან დედაქალაქში ჩაწერილნი, დაეხმარებიან თავიანთი უმაღლესი სასწავლებლები.

1 მარტამდე რამდენიმე დღეღა დარჩა, რაიაღმასკომებსა და სახლმმართველოებში გამალებული მუშაობაა გაჩაღებული დგინდება ყოველი წვრილმანი, დეტალი, რომ მოქალაქეებს შეძლებისდაგვარად გაუადვილდეთ მაღაზიებთან ურთიერთობა.

**სოსო ბალაშვილი.**

## სხვადასხვა

### მიმართვა

**საქართველოში** შექმნილი მწვავე ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს გააჩნია ზნეობრივი და მორალური უფლება ხმა აღიმაღლოს იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელთაც ინსპირაციულად აწარმოებენ ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ხულიგნურ-ტერორისტული ორგანიზაციები. ქართველი ერი ნათლად ხედავს ანალოგიას იმ სიტუაციისას, რომელიც იქმნებოდა წინამურის ტრაგედიამდე. მით უმეტეს რომ, დღევანდელ პოლიტიკურ სარბიელზე აშკარავდებიან ნეოორჯონიკიძეები, ნეომახარაძეები, ნეობერიაშვილები, — ჭანტურიების, სარიშვილების, იოსელიანების სახით. ტყვედქმნილი საქართველოს სიმართლის დათრგუნვას, ძალადობისა და ტერორიზმის გზით ვერ მიაღწევს თავისუფლებას და პოლიტიკურ სიძლიერეს, არამედ გაგრძელდება დაკნინების, ასიმილირებისა და გადაგვარების პროცესები, რაც ჩვენი ერის მსოფლიო საერთაშორისო თვალსაწიერიდან გაქრობით დასრულდება.

სწორედ ამიტომ, მოვითხოვთ ტერორისტული პარტიებისა და ორგანიზაციების აქტივისტთა თვითნებობისა და დაუსჯელობის მხილებას პრესისა და ტელევიზიის საშუალებით და სამარცხვინო „ეროვნულ მოღვაწეთა“ მოკვეთას ერის მიერ.

„ძირს ბარაბას მომაკვდინებელი გზა!“

**ო. გაბუნია, გ. კოპალიანი, ნ. სეფიაშვილი, ნ. ოქროპირიძე, ც. ელაშვილი, დ. არღვლიანი, გ. ნინუა, მ. ქენქაძე, მ. სამხარაძე, ი. ძნელაძე, გ. ლეჟავა, ვ. თაყნიაშვილი, პ. ფურცელაძე, ზ. ოქრომაშვილი, თ. ბეჟაძე, რ. გოროზია, გ. ქოჩიაშვილი... სულ 2500 ხელმოწერა.**

1990 წლის ზაფხული.

## სასწრაფოდ

### სისხლის სამართლის კოდექსის...

**ბალტიისპირეთში** უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში დატრიალებული პოლიტიკური მოვლენები ცხადყოფს, რომ იმპერიის რეაქციული ძალები პოზიციების დათმობას არ აპირებენ. ისინი ქმნიან ისტორიაში სახელგატეხილ „ეროვნული ხსნის კომიტეტებს“ და ცდილობენ მათი სახელით დაამხონ ხალხის არჩეული, კანონიერი დემოკრატიული მთავრობები და დაამყარონ მარიონეტული დიქტატორული მმართველობა. გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი ხერხები სხვა რესპუბლიკებშიც გამოიყენონ. რამდენადაც ვიცით, საქართველოს რესპუბლიკის ხალხის მიერ არჩეული, დემოკრატიული ხელისუფლების დაცვის ყრავითარი სამართლებრივი ნორმები არ არსებობს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სასწრაფოდ შეიქმნას კანონი, რომელიც დაიცავს ეროვნულ ხელისუფლებას და სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში მოაქცევს მთავრობის ძალაუფლების ძალადობის გზით დამხობისა და ხელში ჩაგდების ყოველგვარ ცდებს.

**ი. ბედინეიძე, ირ. ლორთქიფანიძე, მ. ერაძე, ნ. ცხვედიანი, ნ. გვილავა, ი. გაბუნია, ი. იმნაძე, თ. ჯიშიაშვილი, ლ. ზაუტაშვილი, ნ. სიხარულიძე, ლ. ხუციშვილი, სულ 78 კაცი.**

რედაქციისაგან: თბილისში გრძელდება ხელმოწერები

## საზღვარგარეთ





# გამოხმაურება ელცინის განცხადების გამო

# კიმ ცაგოლოვმა ცალი თვალით გაიღვიძა

...ხასის“ ლიდერმა ალან ჩოჩიევმა მათ წერილი გაუგზავნა, სადაც „ძმები ქართველები“ ბრჭყალებში ჩასვა. მან ქართული საზოგადოება ააღელვა. მე მივმართე ალანს, ქართველებს ბოდიში მოუხადე-მეთქი, მაგრამ მან უარი მტკიცა.

კითხვაზე, უნდა დაემორჩილონ თუ არა საქართველოში მცხოვრები ოსები ქართულ კანონებს, ისევე როგორც საფრანგეთში მცხოვრები უცხოელები ფრანგულ კანონებს, გენერალმა ცაგოლოვმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. ამავე დროს გაანალიზა „ადამონ ნიხასის“ პროგრამა. თქვა, თავდაპირველად იგი პროგრესული ორგანიზაცია იყო, რომელიც ოსი ხალხის ენას, კულტურასა და ისტორიას იკვლევდაო. მე ამ ორგანიზაციას ვაფასებდი და მისდამი სერიოზულად ვიყავი განწყობილი. შემდეგ მათ ბიუროკრატიის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა და გადაამლაშეს, დაუშვეს შეცდომები, უფროსების აზრს ყურს არ უგდებდნენ, მათ სტალინისტებს უწოდებდნენ. ასევე გამიჯნენ ინტელიგენციას, რომელთა შორის ძლიერი პიროვნებები არ აღმოჩნდნენ. ახალგაზრდობას კი ინტელიგენცია და უფროსი თაობა ფეხებზე კიდიათ. „ადამონ ნი-...

...მოკრატიული მოძრაობის ... მადგენლები, ამაზე ცაგოლოვი ასე პასუხობს: ჩოჩიევის ხალხი ასე აცხადებს: აი ხომ ხედავთ ქართველი ლიდერებიც თავისთავს დემოკრატებს უწოდებენ, ჩვენ კი რას გვიშვრებიანო, ამიტომ მათ დემოკრატებს თავი დაანებეს.

კითხვაზე: უნდათ თუ არა ოსებს საბჭოთა კავშირიდან გასვლა? კიმ ცაგოლოვმა მიუგო, ეს საკითხი ოსებში ჯერჯერობით არ დგასო, ამის გამო ქართველები გაუნათლებლებს გვეძახიანო.

მორიგ კითხვაზე: ქართველები თუ გადიან საბჭოეთიდან, მაშინ ხომ ოსებიც უნდა გავიდნენ, ცაგოლოვმა უპასუხა, რომ მას არ სურს ვინმე ძალას ატანდეს. თუ ქართველები ცივილიზებული ფორმით გავლენ საბჭოთა კავშირიდან და მოამზადებენ ოს ხალხს, ეს ასე მოხდებაო.

ფატიმა სალვაზანოვამ რწმენა გამოთქვა, რომ საქართველო აუცილებლად გავა საბჭოთა კავშირიდან და ოსები ისეთივე უფლებებით ისარგებლებენ საქართველოში, როგორც ბრეტანელები და ნორმანდიელები სარგებლობენ საფრანგეთში. საქართველო ჯერ საბჭოთა კავშირშია, როდესაც გავა, მერე ყველაფერი გაირკვევაო, უპასუხა გენერალმა.

# არმია მიტინგს აპირებს

...ტანსაცმლით მივლენ. ომის ვეტერანებმაც მოისურვეს მიტინგში მონაწილეობა. ვარაუდობენ, რომ სულ 300 ათასი კაცი შეიკრიბება. მიტინგის მიზანია არმიის, კომპარტიისა და პირადად გორბაჩოვის რეპუტაციის დაცვა, საბჭოთა კავშირის რღვევის წინააღმდეგ გალაშქრება.

# რეფერენდუმი ორი იქნება

**უკრაინის** რადამ (პარლამენტმა) ცხარე კამათის შემდეგ გადაწყვიტა, რომ 27 თებერვალს ორი რეფერენდუმი გამართოს: ერთი — საკავშირო და მეორე — რესპუბლიკური. ლვოვში კი გამოაცხადეს, რომ დასავლეთ უკრაინაში რესპუბლიკური რეფერენდუმის იდეას უჭერენ მხარს.

# იმუქრებიან გაზსადენის გადაკეტვით

**ჩრდილო** ოსეთის მაგისტრალური ქსელის მუშაკები აცხადებენ, რომ სამაჩაბლოს ოსებს ბლოკადა თუ არ მოეხსნებათ, მაშინ ისინი გადაკეტავენ ტრანსკავკასიური გაზის მაგისტრალს.

მაგისტრალი გადის ქალაქ ვლადიკავკაზის აღმოსავლეთით. ე. წ. საგარეუბნო რაიონში, რომელიც 1944 წლის 23 თებერვლამდე ჩეჩენ-ინგუშეთს ეკუთვნოდა. შემდეგ ქართული სოფლების ბალთის, ჩიმის, ქვემო და ზემო ლარსის და დარიალის ხეობის გამოვლით ყაზბეგისაკენ მიემართება. საქართველოდან კი გაზი ორი მიმართულებით მიემართება სომხეთისაკენ.

# სპარსეთის ყურე პრობლემების ქსელში

**სპარსეთის** ყურეში, დასასრულს უახლოვდება ბრძოლების პირველი ფაზა ერაყსა და მრავალეროვნულ ძალებს შორის. მოსკოვის მიერ წამოყენებული ე. წ. „გორბაჩოვის გეგმა“ ომის შეწყვეტის თაობაზე, როგორც ჩანს, ვერ იმოქმედებს, რადგან მეომარი მხარეები ერთმანეთისათვის მიუღებელ წინადადებებს აყენებენ. „გორბაჩოვის გეგმა“ ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ქუვეითიდან ერაყის ჯარებისა და, მეორე მხრივ, არაბეთის ნახევარკუნძულიდან მრავალეროვნული ჯარების გაყვანას, მათ ადგილზე გაეროსა და არაბული ქვეყნების ძალების თავმოყრას და პრობლემის კომპლექსურ გადაჭრას. როდესაც აღდგება ქუვეითის ანექსიამდე არსებული ვითარება, დაიწყება გაეროს ეგიდითა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით რეგიონის სხვა პრობლემათა გადაჭრა. მართალია, პრეზიდენტმა ბუშმა საბჭოთა ინიციატივას „საინტერესო“ უწოდა, მაგრამ დასძინა, იგი საკმარისი არ არისო. მისი აზრით, ბაღდადმა ქუვეითიდან ჯარები ყოვლად უპირობოდ უნდა გაიყვანოს. ვაშინგტონში და ლონდონში მიაჩნიათ, რომ ერაყმა უნდა შეასრულოს ამ საკითხზე გაეროს რეზოლუციის ყველა პუნქტი. კერძოდ, კომპენსაცია და ვალები გადაუხადოს ქუვეითს, რაც „გორბაჩოვის გეგმაში“ არ შედის.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, როლან დიუმამ აღნიშნა, ერაყის განკარგულებაში შესაძლოა 24 საათიაო. თუ ეს მართალია, მაშინ გამოდის, რომ ბუშის ადმინისტრაცია მოსკოვის დამოუკიდებლად მოქმედებს, რადგან კრემლმა მოლაპარაკებისათვის ორ კვირამდე ითხოვა. ამასთან დაკავშირებით, გერმანული „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აღნიშნავს, თუ ბუშმა გორბაჩოვის გეგმა უარყო, ეს ამ უკანასკნელისათვის დიდი კრახი იქნებაო, რადგან მას სახლში უმძიმესი ვითარება აქვს და საერთაშორისო სარბიელზე მარცხის შემთხვევაში სამხედროები აღშფოთდებიან და მისი გადაყენება გარდაუვალი გახდებაო. პოლიტოლოგ დევიდ ბლეიკს მიაჩნია, რომ „გეგმა“ გორბაჩოვის ბოლო შანსია. თუ იგი გამოიყენა და ჰუსეინი გადაარჩინა, მისი რეპუტაცია როგორც შინ, ისე მსოფლიოში და განსაკუთრებით არაბულ სამყაროში განუსაზღვრელად გაიზრდებაო, თუმცა ამერიკასთან და ევროპასთან ხანგრძლივ ურთიერთობაში წააგებს, რადგან დიქტატორული რეჟიმის გადარჩენას შეუწყო ხელი. ე. ი. გორბაჩოვი თავისი გეგმის განხორციელებით როგორც მოიგებს, ისე წააგებს. თუ ამერიკამ არ დაუჯერა და ერაყს შეუტია, ეს გორბაჩოვისთვის დასასრული იქნება, დაასკვნის დევიდ ბლეიკი.

სადამ ჰუსეინი ანუ, როგორც მას ხშირად არაბულ სამყაროში უწოდებენ, „მესოპოტამიის ვეფხვი“ ის კაცი არ არის, რომელიც ასე იოლად გავა ქუვეითიდან. მან, როგორც მტკიცე აზიელმა დესპოტმა, ბევრი მომხრე გაიჩინა როგორც არაბულ სამყაროში, ისე მსოფლიოში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც. ამიტომ საბჭოეთს, როგორც გენერალმა მოისეევმა განაცხადა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავს ამიერკავკასიის დივიზიები. შუა აზიის რესპუბლიკებში, სულ უფრო ძლიერდება ჰუსეინის მხარდაჭერის კამპანია. ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელები, თუმცა პრომოსკოვური პოლიტიკის გამტარებლები არიან, სულ უფრო ენერგიულად გამოხატავენ პროტესტს იმის გამო, რომ არ დაეკითხნენ, როდესაც სპარსეთის ყურის კრიზისის მიმართ საბჭოთა პოლიტიკა ყალიბდებოდა. პორტუგალიური „დიარიუ დი ნოტისიაში“-ის აზრით, შესაძლოა მრავალმა საბჭოთა მუსულმანმა ერაყის გამო მოსკოვის წინააღმდეგ გაილაშქროს, ეს კი საბჭოთა სამხედროებს აიძულებს ერაყს დაეხმარონ“.

სადამ ჰუსეინმა, როგორც ცნობილია, „საღვთო ომი“ — ჯიჰადი გამოუცხადა ამერიკელებს. იგი, როგორც ჯიჰადის გამომცხადებელი, კაპიტულაციას ვერ დათანხმდება, რადგან მაშინ სამუდამოდ მოეჭრება თავი არაბებში. „მესოპოტამიის ვეფხვმა“ ბრძოლა რომ წააგოს და დაიღუპოს კიდევაც, ჯიჰადის წინაშე მართალი იქნება, რადგან „საღვთო ომში“ დამარცხებული, სამუდამო სასუფეველში მოხვდება, რაც მუსლიმანთა ოცნებაა. ჯიჰადის თვალსაზრისით, ურჯულოების წინააღმდეგ ბრძოლაში უკან დახევა შეუწყნარებელია. ასე რომ, ჰუსეინისთვის, ბრძოლის გაგრძელების გარდა ალტერნატივა არ არსებობს.

ამავე დროს, ჰუსეინი ეყრდნობა 1951 წლის ყარაჩში გამართული ისლამის მსოფლიო კონფედერაციის დადგენილებას, სადაც წერია: „ნებისმიერი ისლამური ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული არამუსლიმანური ქვეყნის აგრესია უნდა განხილულ იქნეს, როგორც ყველა მუსლიმანური ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად“.

ჰუსეინის ერთგული მოკავშირეა რელიგიური ფანატიზმი. ამერიკელთა ერაყში შეჭრა ემუქრება მუსლიმან შიიტთა წმინდა ადგილებს. მათთვის მექას მერე ყველაზე წმინდა ადგილებია ნაჯაფი, კერბელა, სამარა და ბაღდადი. ნაჯაფი შიიტებისთვის ისეთივე წმინდა ადგილია, როგორც კათოლიკეთათვის ვატიკანი. აქ ცხოვრობს მათი სულიერი მამა აიათოლა მარჯი. აქ არსებულ შიიტურ უნივერსიტეტში სწავლობდა ირანის ყოფილი ლიდერი აიათოლა ხომეინი. შიიტებს, დიდი მიდრეკილება აქვთ ფანატიზმისაკენ, რასაც ირანის მაგალითიც ადასტურებს. ერაყის არმიის ნახევარი კი, რწმენით მუსულმანი შიიტია.

მოვლენების ასეთი განვითარების წინაშე, იორდანიის მეფე ჰუსეინთან ერთად უკვე მერყეობენ ანტიერაყულ კოალიციაში მყოფი ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი, მაროკოს მეფე ჰასანი და სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი.

ბრძოლების გაგრძელებაზე უარის თქმა ძალიან გაუძნელდება შეერთებულ შტატებსაც. მან უკვე ისეთ შეიარაღებას მოუყარა თავი სპარსეთის ყურეში, რომ მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია. ამავე დროს, პრეზიდენტი ბუში მსოფლიო საზოგადოებრიობისა და თვით ამერიკელ მოქალაქეთა არნახული მხარდაჭერით სარგებლობს. მას ამერიკელთა 81 პროცენტი ემხრობა. ბუშმა რომ ქუვეითი ერაყს დაუტოვოს, მის პოლიტიკურ რეპუტაციას ლახვარი ჩაეცემა. როგორც ჰუსეინისათვის, ისე ბუშისათვის ბრძოლის გაგრძელება ერთადერთი გზაა. ამიტომ ამერიკელებმა, შესაძლოა, ჰუსეინს „გორბაჩოვის გეგმით“ მანიპულირების საშუალება არ მისცენ და დაიწყონ ბრძოლების მეორე — სახმელეთო ფაზა. მით უმეტეს, რომ საზღვარგარეთის ზოგიერთი მასობრივი საინფორმაციო საშუალების აზრით, მოსკოვის მანევრებს მიღმა სხვა აზრიც იმალება. კერძოდ, იუწყებიან, თითქოსდა ერაყში განუწყვეტლივ ჩადიან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპეცნაწილები და ჩააქვთ სამხედრო ტექნიკის ნაწილები, რაც ეტყობა მართალი უნდა იყოს, რასაც გვიდასტურებს საბჭოთა გენერლების პოზიციაც. კერძოდ, კრიზისის დაწყებიდან სხვადასხვა დროს გენერლებმა ლობოვმა, ევსტავიევმა, ბოგდანოვმა გენშტაბიდან, დუროვმა, სტაროდუბოვმა, ივანოვმა, პანოვმა და მარშალმა ახრომეევმა მოითხოვეს ერაყისათვის სამხედრო დახმარება. მათ არც პრესა ჩამორჩება. კერძოდ, გაზეთ „იზვესტიის“ მიმომხილველი კონდრაშოვი პირდაპირ ამბობს: „ჩვენ ევრაზიელები ვართ და დასავლეთს კი არ უნდა დავუჭიროთ მხარი, არამედ არაბებს. იგი ჯერ ბომბავს მათ, მერე კი დახმარების ხელს უწვდის, როგორც ეს იაპონიაში გააკეთეს“. გენერალ-პოლკოვნიკმა ლიტვინოვმა კი კარტი ბოლომდე გახსნა: იგი აღნიშნავს, თურქეთის ქალაქ ერზრუმის გარნიზონში ამერიკელი სამხედროები ჩავიდნენ. ჩანს, ომი გვიახლოვდება, ეს კი სამხრეთის სივრცის ყურადღებით დაზვერვას მოითხოვს, მაგრამ ამას ხელს უშლიან ადგილობრივი „ბოევიკები“ და ეროვნული შენაერთებიო. იგი აღნიშნავს, ვერ შევაგნებინე ადგილობრივ ნეოდემოკრატიულ ხელმძღვანელობას, რომ ომთან თამაში არ შეიძლებაო. სტრატეგიული ბომბდამშენი ან რაკეტა სამიზნის არჩევაში რომ შეცდეს, შეიძლება რამდენიმე წუთში მათი ქალაქები დაიბომბოს, მაგრამ ის ხალხი, რომელიც ჰაერს ზვერავს, ღამით „ბოევიკების“ შემოტევას იგერიებს, დღისით კი სანოვაგეს ელოდება, რომელიც „საოკუპაციო ჯარს“ უნდა მოუტანონ.

სახმელეთო ოპერაციები შეიძლება ნებისმიერ წუთს დაიწყოს, განაცხადა პენტაგონში გამართულ ბრიფინგზე გენერალმა თომას კელიმ. მან აღნიშნა, რომ კრიზისის რაიონში თავმოყრილია 527 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოკავშირეთა რიგებში 205 ათასი კაცია. ომის 36 დღის განმავლობაში, მათ 86 ათასამდე საბრძოლო გაფრენა განახორციელეს. დაბომბვაში მონაწილეობდა ორი სახაზო ხომალდი „ვისკონსინი“ და „მისური“. ერაყმა დაკარგა 1400 ტანკი, 800 ჯავშნოსანი, 1200-მდე საარტილერიო ქვემეხი. დაატყვევეს 1500 ერაყელი ჯარისკაცი. მიუხედავად ამისა, თავდაცვის მინისტრის რიჩარდ ჩეინის აზრით, ერაყს ჯერ კიდევ სერიოზული სამხედრო პოტენციალი აქვს. თავის დროზე, პენტაგონი აცხადებდა, სახმელეთო შეტევა მაშინ დაიწყებაო, როდესაც ერაყის პოტენციალი 50 პროცენტით განადგურდება. ახლა ირკვევა, რომ ერაყმა პოტენციალის მხოლოდ 10 პროცენტი დაკარგა.

ბრძოლის დასაწყისში, ამერიკელებმა არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩაზიდეს 1300 ტანკი, 700 თვითმფრინავი, 400 შვეულმფრენი, მათ შორის მსოფლიოში უძლიერესი შვეულმფრენი, ღამის მებრძოლი, თითო 20 მილიონად ღირებული „აპაჩი“ და „კობრა“. შემდგომ მათ კიდევ 250 თვითმფრინავი დაემატა, მათ შორის უჩინარი ფ-117-ა „სტელსის“ ტიპის ბომბდამშენთა 2 ესკადრილია. ამერიკელთა ამ ძალებს უპირისპირდებოდა ერაყის 560-ათასიანი რეგულარული ჯარი, მათ შორის გვარდიელთა რჩეული 7 დივიზია და 480 ათასი რეზერვისტი. ერაყს აქვს 5500 ტანკი, მათ შორის 500 საბჭოთა ტ-72 და 1000 ცალი ტ-62, 3500 მძიმე ქვემეხი, 500 რაკეტა „სკადი“ და 800 თვითმფრინავი. სრული მობილიზაციის შემთხვევაში, ერაყს შეუძლია სახალხო მილიციასთან ერთად 5 მილიონი კაცის გამოყვანა.

სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომი ამერიკის ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიოში დაზვერილი ნავთობის ტრილიონი ბარელიდან ნახევარზე მეტი მოდის ერაყზე, ქუვეითზე და საუდის არაბეთზე. აქედან მარტო შეერთებული შტატები იყენებს ერთ მეოთხედს იმ 65 მილიონი ტონა ნავთობიდან, რომელსაც ყოველდღიურად ტუმბავენ მიწის წიაღიდან. ესეც სპარსეთის ყურის კრიზისის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია. არც ერთ მხარეს დათმობა არ უნდა. თუ „გორბაჩოვის გეგმა“ შესრულდა, პლანეტის მთავარი ეკონომიკური ძარღვი კვლავ ჰუსეინს დარჩება, რაც ვაშინგტონს ხელს არ აძლევს.

სპარსეთის ყურეში ომს ამერიკელთათვის კიდევ ერთი სერიოზული მნიშვნელობა აქვს, იგი სამხედრო პოლიგონის როლსაც ასრულებს. აქ სცდიან ახალი ტიპის საბრძოლო ტექნიკას. ეს არის ტანკი „აბრამსი“, უჩინარი თვითმფრინავი „სტელსი“, ინგლისური თვითმფრინავი „ტორნადო“, სხვადასხვაგვარი არტილერია, რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი „პეტრიოტი“, ფრთოსანი რაკეტა „ტომაჰავკი“ და მრავალი სხვა. ისინი საბრძოლო ვითარებაში გადიან გამოცდას. ამას გარდა, გამოცდას გადის ზეთანამედროვე სამხედრო ელექტროკომპიუტერული სისტემები, საბრძოლო შაშხანები, მართვადი ნაღმები, პრაქტიკულად მოწმდება თანამედროვე ომის თეორიული საფუძვლები.

სპარსეთის ყურის ომი დიდი გამოცდაა ამერიკელი სამხედროებისათვის. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ 3 ტრილიონი დოლარი, რომელიც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მოახმარეს შეიარაღებას, უქმად არ დახარჯულა. მათ ამ ბრძოლაში 5 ამოცანა უნდა გადაწყვიტონ: 1. ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურება. 2. ქუვეითიდან ერაყის ჯარების გაყვანა. 3. რეგიონში ძალთა ახალი ბალანსის შექმნა. 4. ნავთობზე ზომიერი ფასის, კერძოდ ბარელში 20 დოლარის დაწესება, 5. პალესტინა-ისრაელის პრობლემის გადაჭრა.

ამიტომ ცხადი ხდება, რომ ომის მეორე ფაზა შესაძლოა უახლოეს დროში დაიწყოს. მრავალეროვნული ძალების მთავარსარდალი ნორმან შვარცკოფი აღნიშნავს: „ჩვენ შეგვიძლია ომი ორ დღეში დავასრულოთ, მაგრამ ერაყის სრული განადგურება არ გვინდა“. ეს მოხდება, თუ ამერიკელები ბირთვულ ან ვაკუუმის ბომბებს გამოიყენებენ. ასეთი საშუალებით „ამერიკელები გაიმარჯვებენ, მაგრამ მილიარდ მტერს შეიძენენ მსოფლიოს მუსულმანების სახით“, — ხაზს უსვამს ჯონ ლაფინი ლონდონის „დეილი მეილიდან“.

ბევრი სვამს კითხვას: ამდენი დაბომბვის შემდეგ რატომ არ განადგურდა ერაყის არმია?

სამხედრო სპეციალისტების აზრით, სადამ ჰუსეინი მოელოდა ბრძოლის ასეთ ფორმას. იგი არც აპირებდა ჰაერში და ზღვაში ომს. მისი მთავარი კოზირი იყო და არის სახმელეთო ჯარები. მას სურს, მსოფლიო საზოგადოებას უჩვენოს, რომ იგი ამერიკის აგრესიის მსხვერპლია. სწორედ ამიტომ ბრძოლის პირველი დღეებიდანვე იგი ინერტულად უპასუხებდა მოკავშირეთა ავიაციის მასირებულ თავდასხმებს. ტანკები უდაბნოში ჩაფლა, თვითმფრინავები მიწისქვეშ გადამალა. ბოლოს ათი დღის განმავლობაში ერაყის არც ერთი თვითმფრინავი არ აფრენილა ჰაერში. მათი ნაწილი, შესაძლოა თეირანთან გარიგებით, ირანში გადაისროლეს, კანტი-კუნტად უშვებენ 60-იანი წლების „სკადის“ ტიპის საბჭოთა რაკეტებს ისრაელსა და საუდის არაბეთს. საგულდაგულოდ იცვლიან ადგილს უდაბნოში იტალიური და თურქული გასაბერი ტანკები, თვითმფრინავებისა და რაკეტების მაკეტები, რომლებიც ურიცხვი რაოდენობით აქვთ. ამით ცდილობენ ამერიკელთა მოტყუებას. ჰუსეინი ელოდება, როდის შეიჭრებიან ამერიკელები ქუვეითში, რათა სახმელეთო ბრძოლებში რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს. ელოდება, როდის ამოქმედდება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც წინ აღუდგება ერაყის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას, რომელთა შორის მსხვერპლთა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია, და ამით შეაწყვეტინოს ომი.

არავის ეჭვება ომის სამხედრო შედეგი, მაგრამ მისი ხანგრძლივობა, მიმართულება და მოსალოდნელი შედეგები ძნელი განსაჭვრეტია.

**გურამ სიხარულიძე**

„საქართველოს რესპუბლიკის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 27 თებერვალს 10 საათზე, უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 27 თებერვალს 8 საათსა და 30 წუთიდან.

### ცნობა

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 22 თებერვლის დადგენილებით ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებში საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადა გაგრძელდა 26 თებერვლის ჩათვლით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### გ. ა. მაცუკატოვის ახალქალაქის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს გიორგი ანტონის ძე მაცუკატოვი ახალქალაქის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 15 თებერვალი.

### ქრონიკა

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 15 თებერვლის დადგენილებით ნერვეან არამის ძე გოგორიანი გათავისუფლდა ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

## 21 თებერვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დღეა

# წერილი მესამე: საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი ასპექტის ინტერპრეტაციის ცდა

(გაგრძელება)

**მაგალითად,** დამოუკიდებელ საქართველოში 1918-21 წლებში არსებობდა ნამდვილი დემოკრატიული პრესა, რომელიც გამოხატავდა მაშინდელი საქართველოს პლურალისტური საზოგადოების ყოველი კლასის, ყოველი ფენის, ყოველი პროფესიის აზრებს. მაშინ საქართველოში არსებობდა 12 პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება, ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი საკუთარი გაზეთები, ჟურნალები და ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობაზე. საქართველოს პარლამენტში საქართველოს ამომრჩევლებმა წარადგინეს ოთხი პარტიის — სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების დეპუტატები, რომლებიც ხშირად სხვადასხვა აზრის იყვნენ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე; და რა გასაკვირია, რომ ეს აზრები, შესაფერი კომენტარებით და დოკუმენტაციით ქვეყნდებოდა ამა თუ იმ პარტიის პრესაში, რითაც ყოველი საკითხი ღიად, საჯაროდ იხილებოდა მთელი ერის, მთელი მოსახლეობის წინაშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში აღბეჭდილი იყო მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების დებულება, რაც იყო მაშინდელი საქართველოს რეალური მდგომარეობის სარკე. ასეთ შემთხვევაში კი მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება ფიქცია კი არ არის, როგორც ამას აქვს ადგილი საბჭოთა საქართველოს ერთპარტიულ სისტემაში, არამედ მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება ქმედობაშია, ესე იგი პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაშია განხორციელებული. ეს კი არის სიტყვისა და ბეჭდვის ნამდვილი თავისუფლება; და ასეთ თავისუფალ პრესას მართლაც რომ შეიძლება ეწოდოს უფლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ძალაუფლების „მეოთხე ძალა", „მეოთხე ორგანო", — როგორც ამას ამბობენ ხოლმე დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ახლა შევეხებით იმ მუხლებს, რომლებიც ეხება მოქალაქეთა მიმოსვლის თავისუფლებას. [illegible] საქართველოს ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ და თავისი სურვილით აერჩია თავისი საცხოვრებელი ბინა-ადგილი. ეს მუხლი მართლაც რომ მეტად დიდი მნიშვნელობის იყო არა მარტო იმ დროს, ე. ი. 1918-21 წლებში, ანუ 50 წლის წინათ, არამედ ეს დებულება მეტად აქტუალურია დღესაც — 50 წლის შემდეგ, (ნაშრომი დაწერილია 1971 წელს, გ. შ) ვინაიდან დღეს საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეებს—სწორედ მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის თავისუფლება არ გააჩნიათ. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციისა და 30-ე მუხლის უდიდეს მნიშვნელობას ღაღადებს აგრეთვე ისიც, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, — რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ და რომელსაც, სხვათა შორის საბჭოთა კავშირის მთავრობამაც მოაწერა ხელი, — დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან 27 წლის შემდეგ ჩამოყალიბებულია მიმოსვლის თავისუფლების დებულებანი:

„ყოველ ადამიანს, — ნათქვამია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-13 მუხლში, — აქვს უფლება თავისუფალი მიმოსვლისა და თავისი საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა ყოველ სახელმწიფოში.

ყოველ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ყოველი სახელმწიფო, თავისი საკუთარი სახელმწიფოს ჩათვლით, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში".

ასეა ნათქვამი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში", რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს, ე. ი. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და დამტკიცების დღიდან 27 წლის შემდეგ. აქედან კი ნათლად ჩანს, თუ როგორი შორსმჭვრეტელობით, როგორი ჰუმანურობით იყვნენ გამსჭვალული დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემქმნელები, როცა იმუშავებდნენ და როცა მიიღეს და დამტკიცეს ეს კონსტიტუცია. [illegible] „პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილებას".

აქ, ამ ორ მუხლში განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებანი, რომელთა ძალით დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ მთავრობის ნებადაურთველად თავი შეეყარათ ქუჩებში, მოედნებზე თუ სხვაგან ისე, როგორც ჭერქვეშ და თავიანთი აზრი გამოეთქვათ ერის, სახელმწიფოს, საქართველოს ყოველ საჭირბოროტო საკითხზე. მოქალაქეებს ენიჭებოდათ პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება, ესე იგი მათ შეეძლოთ პეტიციის სახით თავიანთი აზრი ეცნობებინათ მთავრობის ორგანოებისათვის და მოეთხოვათ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე პასუხი.

ერთადერთი შეზღუდვა გამოიხატებოდა იმით, რომ საჯარო შეკრება გარეთ თუ ჭერქვეშ უნდა ჩატარებულიყო უიარაღოდ, რაც სრულიად შეესაბამება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებს, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეთა უზენაესობა, როგორც ეს აღვნიშნეთ საქართველოს პარლამენტის, ე. ი. კანონმდებლობის ორგანოს განხილვისას, — ერის უზენაესობა, ერის ხელმწიფება უზრუნველყოფილია 52-ე მუხლის ძალით და პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას. და თუ პარლამენტი მიიღებს ისეთ კანონს, რომელიც არ შეესაბამება ერის ინტერესებს, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს, მაშინ — ამ კონსტიტუციის 64-ე მუხლის ძალით — 30 ათას ამომრჩეველს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს პარლამენტს, რომ ეს კანონი სარეფერენდუმოდ წარუდგინოს ხალხს. ამგვარად, მოქალაქეებს სრულიად ლეგალური საშუალება გააჩნიათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ კანონის შექმნაში და ამის შედეგად სრულიადაც არ არის საჭირო გარეთ თუ ჭერქვეშ მოქალაქეთა იარაღით შეკრება, მით უმეტეს, რომ ამ კონსტიტუციის 37-ე მუხლის ძალით უზრუნველყოფილია პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება.

ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მი- [illegible] თუ დაეგმოთ მთავრობის ან რომელიმე ორგანიზაციის თუ რომელიმე პირის მოქმედება და ამისათვის მათ არავითარი შევიწროება თუ სასჯელი არ მოელოდათ. ეს უფლებები გარანტირებულია კონსტიტუციით. აქ კი ნათელი ხდება, თუ რა დიდი განსხვავებაა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციასა, დამოუკიდებელი საქართველოს რეალურ მდგომარეობასა და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციასა და საბჭოთა საქართველოს რეალურ მდგომარეობას შორის.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის 138-ე მუხლშიც გარანტირებულია „კრებებისა და მიტინგების თავისუფლება" და „ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციის თავისუფლება", მაგრამ ყველაფერი ეს ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ეს კრებები და მიტინგები, სვლა თუ დემონსტრაციები „შეესაბამება მშრომელების ინტერესებს"; ხოლო თუ რა შეესაბამება მშრომელთა ინტერესებს, ამას განსაზღვრავს „ცენტრის", კომპარტიის ცეკას სათავეში მდგომი პირთ დიქტატორული წესით. და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის ეს ფიქტიური უფლება ჩვენ, ქართველებს მეტად ძვირად დაგვიჯდა, მეტადრე 1956 წელს, როცა საქართველოს სტუდენტობისა და მუშა ახალგაზრდების მშვიდობიანი დემონსტრაციები სისხლში ჩაახშო პარტხელმძღვანელობამ და იარაღით გაუსწორდა ახალგაზრდებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ახალგაზრდები არ დაეთანხმა „ცენტრის", პარტხელმძღვანელობის პოლიტიკას და გამოთქვა თავისი საკუთარი აზრი, რომელიც ჩვენი ერის უფლებების დაცვასაც შეიცავდა. და ვინაიდან „ცენტრისა" და საქართველოს პარტხელმძღვანელობა ვერ იტანს, არ უშვებს სხვა აზრს, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ „ცენტრის" მმართველისას, სისხლში ჩაახშო სტუდენტთა და ახალგაზრდა მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში. აი ასე ესმის პარტხელმძღვანელობას კრებისა და მიტინგების, ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლება. პარტხელმძღვანელობისათვის კრებისა და მიტინგების თავისუფლება, ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა უზრუნველყოფილი, თუ კრების, მიტინგების თუ დემონსტრაციების მონაწილენი ხოტბას შეასხამენ პარტხელმძღვანელობის მიხვეულ-მოხვეულ და ხშირად სრულიად ულოგიკო აზრთა აკრობატიკას. და ეს რომ კრებისა და დემონსტრაციის თავისუფლება არ არის და არც შეიძლება ეწოდოს — ეს თქვენ კარგად იცით, პატივცემულო თანამემამულენო.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით კი საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდათ თავშეყრის სრული თავისუფლება, როგორც [illegible]

## ფოტორეპორტაჟი



[illegible]

## დიზაინერთა სამომავლო გეგმები

[illegible]

## გამოსათხოვარი

# თამარ წულუკიძე



**ქართულმა** თეატრალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მსახიობი, სანდრო ახმეტელის მეუღლე, თამარ გრიგოლის ასული წულუკიძე.

თამარ წულუკიძე იყო 1930-იანი წლების რუსთაველის სახელობის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი ძალა. სანდრო ახმეტელის სპექტაკლებში მან განასახიერა: ილტანი — ა. გლებოვის „ზაგმუკში", ქსენია — ბ. ლავრენიევის „რღვევაში", ლამარა— გრიგოლ რობაქიძის „ლამარაში", ამალია — ფ. შილერის „ყაჩაღებში" და სხვ.

თ. წულუკიძის შემოქმედება ხანმოკლე, მაგრამ მეტად მრავალფეროვანი იყო. იგი თამაშობდა წამყვან როლებს — პანტომიმაში, დრამაში, კომედიაში, ტრაგედიაში... ძირითადად ესენი გახლდათ სანდრო ახმეტელის სპექტაკლები, რომლებიც მსახიობისაგან მოითხოვდნენ არა მარტო შინაგან სიმართლესა და გულწრფელობას, არამედ სპექტაკლის ფორმის მძაფრ შეგრძნებას, რომელიც მუდამ განსხვავებული იყო. ფოტოსურათებზე აღბეჭდილი თამარ წულუკიძის გმირები ამას თვალნათლივ ადასტურებენ.

თამარ წულუკიძის შემოქმედებითი პოტენცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მას გადასახლებაშიც კი არ შეუწყვეტია ინტენსიური მოღვაწეობა, ძიება. შორეულ ჩრდილოეთში ჩამოაყალიბა თოჯინების თეატრი, წერდა სტატიებს, საბავშვო მოთხრობებს, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. შინ დაბრუნებულმა კი დაწერა წიგნი „მხოლოდ ერთი სიცოცხლე", რომელშიც აისახა მისი უმძიმესი ცხოვრება და უძლიერესი სული.

სიცოცხლის ბოლო წლებში ბელორუსიაში მცხოვრებმა თამარ წულუკიძემ სამშობლოში დაკრძალვა ისურვა. მისი ეს სურვილი აღსრულდება.

ვეთხოვებით შესანიშნავ პიროვნებას და ახმეტელის თეატრის უკანასკნელ შემოქმედს. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ღვთისმშობლის წილნაყარი, მრავალჯერგამოვლილი ქართული მიწა.

მანანა ახმეტელი, ნათელა არველაძე, ნოდარ გურაბანიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ვასილ კიკნაძე, გიგა ლორთქიფანიძე, კოტე მახარაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ნინო რამიშვილი, რობერტ სტურუა, ნათელა ურუშაძე, გოგი ქავთარაძე, ალექსანდრე ქანთარია, მედეა ჩახავა, რამაზ ჩხიკვაძე, თემურ ჩხეიძე, ნადია შალუტაშვილი, ნოდარ ჭულეისკირი, მედეა ჯაფარიძე.

# მე ის სცენაზე არ მინახავს

**...გადასახლებიდან** რომ დაბრუნდა, რუსთაველის თეატრის სცენაზე შევხვდით ერთმანეთს როგორც პარტნიორები. ოცი წლის ნაწამებ-ნატანჯი იყო ეს უნიჭიერესი მსახიობი.

გაიხსნა ფარდა და მომეჩვენა, თითქოს შეინძრა შენობის თაღი... მისი მაყურებელი, მისი თაყვანისმცემლები ტაშის გრიალითა და ცრემლით შეეგებნენ ჯოჯოხეთიდან დაბრუნებულ სათაყვანო კერპს.

რა საოცარი მომხიბვლელობა იფრქვეოდა სცენიდან!

ცხოვრებაში თითქოს ჩვეულებრივი მანდილოსანი, სცენაზე ულამაზეს არსებად იქცეოდა.

30-იანი წლები. რუსთაველის თეატრის წინ, არნახული ხალხმრავლობაა. ვინ არის ის ბედნიერი, ვინც „ყაჩაღებზე" ბილეთი იშოვა? ჩემი მშობლები ვერ მოხვდნენ მაშინ სპექტაკლზე, დალონებული ავუყევით ზესიკის ქუჩის აღმართს.

ყველა გზა რომში მიდისო — ნათქვამია. მამაჩემისთვის ყველა გზა თეატრისაკენ — ალექსანდრე იმედაშვილისა და თამარ წულუკიძისაკენ მიემართებოდა. ისინი იყვნენ მისი კერპები.

...ახლა მე ვდგავარ სცენაზე... ჩემს წინ მამის კერპია — თამარ წულუკიძე. დაუვიწყარი შეხვედრაა, თუმც — ხანმოკლე.

სამშობლოში დაბრუნებულს არ ასვენებდა წარსულის მძიმე მოგონებები. ამით სულდგმულობდა იგი ბელორუსიაშიც, სადაც დაიდო ბინა მისი ცხოვრების მეგობართან, რომლის წინაშე სიცოცხლით იყო დავალებული.

ჩემთვის უძვირფასესი რელიქვიაა წლების მანძილზე თამარის მიერ გამოგზავნილი წერილები. 27 იანვრით დათარიღებული მისი უკანასკნელი წერილი 2 თებერვალს მივიღე. მაშინვე ვუპასუხე, სამშობლოში დაბრუნებას ვთხოვდი უმორჩილესად... 9 თებერვალს ის უკვე აღარ იყო...

ქალბატონი თამარის ყველა წერილი სავსეა დიდი ტკივილითა და წუხილით საქართველოს მომავლის გამო.

მშვიდობით, ძვირფასო ქალბატონო თამარ! თქვენი უნიკალური წიგნი „მხოლოდ ერთი სიცოცხლე" — თქვენი მარადიული სიცოცხლე იქნება ამიერიდან.

მსუბუქი იყოს თქვენთვის სამშობლოს მიწა, ნათელში იყოს სული, რომელიც ამიერიდან თქვენი პატარა ლამაზი შვილის სულს შეუერთდება.

**მერაბ თაბუკაშვილი**

# მშვიდობით, თეატრალურო სასწაულო!

**პირველად,** საყვარელო თამარ, სცენაზე „ლამარაში" განახეთ. ეს იყო თეატრალური სასწაული. რამდენჯერ განახეთ ამ სპექტაკლში, აღარ მახსოვს... მეხსიერებას შემორჩა ყოველი მიზანსცენა: მსახიობი ქალი კი არა, თითქოს ცოცხალი შველი იდგა სცენაზე... რა შესაშური პლასტიკა, რა უტკბილესი ხმა, როგორი ლირიზმი და მომხიბვლელობა! აღტაცებული ვიყავი თქვენით — ყველა როლით.

ბევრი თეატრის გასტროლებს დავსწრებივარ, მაგრამ მსგავსი ტრიუმფი, რაც გენიალური სანდრო ახმეტელის სპექტაკლებს ახლდა მოსკოვში, არ მინახავს.

მეამაყებოდა, რომ ქართველი ვიყავი. გაოცებული დარჩნენ საზღვარგარეთელი ხელოვანნი, რომ ქართველებს ასეთი ეროვნული თეატრი გვქონდა და ამ თეატრის მშვენება თქვენ იყავით, ძვირფასო თამარ.

შავბნელმა დრომ ადრე დაგაშორათ სცენას.

ბევრი ტრაგიკული ხვედრის ადამიანს ვიცნობდი და ვიცნობ, მაგრამ თქვენნაირს არავის...

უკანასკნელად ამ სამი წლის წინ ჩემს საყვარელ მერაბ თაბუკაშვილის ოჯახში შევხვდით. მადლობას ვუხდი მას ამ დაუვიწყარი საღამოსათვის, სადაც თქვენი ძველი მეგობრები და თაყვანისმცემლები შევიკრიბეთ.

დრომ ვერ გააქრო თქვენი მომხიბვლელობა, თქვენი ნათელი გონება და ძლიერი, მაღალი სული. მხოლოდ ასეთი სულის ადამიანს შეეძლო შეექმნა სულის ამძვრელი წიგნი.

მოკრძალებით გკითხეთ, — რატომ არ ბრუნდებით სამშობლოში? მიპასუხეთ: ძალიან მინდა, მაგრამ მიმძიმს რუსთაველის პროსპექტზე გავლა, მოგონებები მბოჭავს.

ახლა კი დაბრუნდით, დაბრუნდით სამუდამოდ. ეს იყო თქვენი უკანასკნელი სურვილი. მადლობას გიხდით ასეთი სურვილისათვის, მშვიდობით.

**ნინო რამიშვილი**

# ჩვენი ტანჯული მეგობარი

**ჩემო** თამარ! რა დიდებულად დაიწყო შენი შემოქმედებითი ცხოვრება. შენი სახელი ქართველ წარჩინებულ მსახიობთა შორის იხსენიებოდა. ყველაფერი გქონდა ბედნიერი ცხოვრებისათვის — ნიჭი, სცენური მომხიბვლელობა, გვერდს გიმშვენებდა შენი სახელოვანი და ჩვენი სათაყვანებელი ბატონი სანდრო ახმეტელი, გარს გეხვია მეგობრები და თაყვანისმცემელნი, გულში იხუტებდი შენს პატარა ბიჭს — სანდის. უბედნიერესი ქალი იყავი, მაგრამ, უკუღმართმა დრომ დაგაკარგვინა შენი საყვარელი თეატრი, დაგენგრა ოჯახი, პატარა, ნაზი ქალი ულმობელმა ძალამ შორს გადაგკარგა და მარტო დარჩენილი, ყინვაში შესცქეროდი ცას, ცხარე ცრემლებით ასველებდი ცივ და გაყინულ მიწას.

მძიმე იყო შენი ხვედრი, ვერ მიაღწიე შენს სანუკვარ სურვილს, რომ შენი ნიჭი და სიცოცხლე შენი საყვარელი, მშობლიური ქვეყნისთვის, მისი სამსახურისთვის დაგელია.

ყველაფრის მიუხედავად, ამაყი და ძლიერი წახვედი, თუმცა მახვრალმა სიკვდილმა წაგართვა ბედნიერება შენი საყვარელი თბილისის ჰაერით გესუნთქა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, აქ დაგელია ტანჯული სული. დღეს შენს საყვარელ მეგობარს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს ბატონ სანდროს ვერ გამოემშვიდობები, პატარა სანდის, რომლის სიყვარულით გული ვერ იჯერე, ვერ ჩაიხუტებ უკანასკნელად, მაგრამ შენი მშობელი დედა, პატარა სანდრო და თბილისის მიწა ჩაგიკრავენ გულში. ისინი განუგეშებენ, ისინი გაგახარებენ...

მშვიდობით, ჩვენო სასახელო მსახიობო და ქალური სინაზით შემკულო ადამიანო. შენი სახელი ჩაიწერა ქართული სცენის საამაყო შვილთა შორის.

რუსთაველის თეატრის ძველი თაობიდან დარჩენილი რამდენიმე მსახიობი მწარედ დაგტირით ჩვენს საყვარელ, ტანჯულ მეგობარს.

**თამარ ბაქრაძე**

# ახლოს წარსულთან

**ხვალ** ქართული მიწა მიიბარებს თავისი რჩეული, გადახვეწილი შვილის თამარ წულუკიძის ნეშტს.

აღსრულდება გარდაცვლილის ანდერძი, რომელიც ამა წლის 9 თებერვალს, 87 წლისა აღესრულა ქალაქ მინსკში. სამშობლოში დაბრუნება იყო მისი უკანასკნელი სურვილი. აკი, გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე ცნობილ თეატრმცოდნეს, ქალბატონ ნადია შალუტაშვილს სწერდა: „ჩემი ნათესავების შეწუხება სიბერის ჟამს არ მინდა, გამიგეთ მანდ რა პირობებია პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატში, მინდა საქართველოში დავსახლდე. აქ, მინსკთან ახლოს ძალიან კარგი ინტერნატია, მაგრამ უკეთესია სამხრეთში წამოვიდე, უფრო ახლოს ჩემს წარსულთან".

ეს სურვილი ვერ აისრულა! ჯვარცმული ცხოვრება განვლო ახმეტელის თეატრის მშვენებამ, მისი ყველა წარმატების თანამონაწილემ. მან წამებულის გვირგვინი დაიდგა თავის მეუღლესთან, სანდრო ახმეტელთან ერთად. რამდენი ქარტეხილი დაატყდა თავს — სცენიდან განდევნეს, მოუკლეს უსაყვარლესი მეუღლე, უახლოესი მეგობრები, დაკარგა სამშობლო, ერთადერთი შვილი... და მიუხედავად ამისა, ბოლომდე შეინარჩუნა სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარული. უმძიმეს ხვედრს იგი არ გაუბოროტებია, ძლიერმა ნებისყოფამ, რწმენამ ბნელზე ნათლის აღზევებისა, ასულდგმულა!

თამარ წულუკიძეს არ დასცალდა სცენაზე ეთქვა თავისი სათქმელი, მხოლოდ ათი თეატრალური სეზონი იღვაწა და უპოპულარესი მსახიობის სახელი დაიმკვიდრა, მაყურებელთა კერპი იყო, მის განსახიერებულ გმირთა სახელებს არქმევდნენ შვილებს.

თითქოს ბედნიერების მწვერვალს შეეწვდა, მაგრამ... მას ნიჭს არ მიეცა სარბიელი, ბედნიერების ლურჯი ფრინველი ხელიდან დაუსხლტა, ყოველივე მოულოდნელად დაემსხვრა... იგი წავიდა სცენიდან — როგორც შეწყვეტილი სიმღერა!

...წლების მანძილზე შორეულ ჩრდილოეთში იყო გადასახლებული, მერე ციმბირში, იქიდან ჩამოსული კი ბელორუსიის დედაქალაქში დასახლდა, სადაც სამ ათეულ წელზე მეტ ხანს იცხოვრა. აქტიურად მუშაობდა როგორც მთარგმნელი, მწერალი, კრიტიკოსი. აქ დაიწერა მისი მოწამეობრივი ცხოვრების წიგნი — „მხოლოდ ერთი სიცოცხლე" (1983 წელს გამოსცა „ხელოვნებამ").

მახსოვს, 1981 წელს რუსთაველის თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, როცა გამოაცხადეს დარბაზში სანდრო ახმეტელის მეუღლე იმყოფებაო, როგორი გულისხმიერებით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა მას. იყო წუთიერი გარინდება და მერე ტაში... იყო ტკივილი, ქრუანტელი, სინანული, სევდა, ბევრს, თვალში ცრემლიც უკრთოდა. თამარ წულუკიძემ იმ საღამოს რობერტ სტურუას გადასცა ახმეტელისეული ზარი, რომელსაც იგი რეპეტიციებზე იყენებდა ხოლმე.

ახლა განსაკუთრებით ფასეულია ცნობილი ქართველი კინოდოკუმენტალისტის ბატონ შერგილ შონიას მიერ ახლახან გადაღებული ფილმი „სცენიდან განდევნილი ადამიანები", რომელიც ეძღვნება სანდრო ახმეტელს და მისი დასის წევრებს — დახვრეტილთ და გადასახლებულთ 1937-ში. ეს დოკუმენტური ფრესკა, ფილმი-რეკვიემი, ცოცხლად შემოუნახავს შთამომავლობას გენიალური ახმეტელის თანამეცხედრის სახებას, ეხლაც ჩამესმის მისი სიტყვები ფილმიდან — „მე პატარა ნერვი ვარ, ჩემი ბედი მილიონების ბედია, სახეა სტალინის ეპოქისა!"

გულს ეფონება, რომ „მშობლის კალთის ქვეშ იყრიან თავს დაფანტული სულები" (აკაკი ბაქრაძე). დაგვიბრუნდა არაერთი მამულიშვილის ნეშტი და აგერ, ახლა, თამარ წულუკიძე!

თითქოს მათი სულის ძლიერებით და ნათელით, ჩვენც ვძლიერდებით და ნათლით ვივსებით.

ამიერიდან თამარ წულუკიძის საბოლოო განსასვენებელი სანდრო ახმეტელის სიმბოლური საფლავიც იქნება, საფლავი რომელიც მას არ ეღირსა.

**გიორგი ლალიაშვილი**

## წერილი რედაქციას

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

**თქვენი** გაზეთის 22 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა გერმანე ფაცაციას „წერილი რედაქციას", რომელშიც მოხსენიებულია გაზეთი „სახალხო განათლება" (უნდა მოგახსენოთ, რომ მას, კარგა ხანია, „ერი" ჰქვია). საჭიროდ ვცანი თქვენი გაზეთის მკითხველს განვუმარტო შემდეგი:

„სახალხო განათლების" რედაქციას ბატონ გერმანე ფაცაციასთვის არ დაურეკავს. დავურეკე მე, როგორც კერძო პირმა და მეგობარმა. საქმე ასე იყო: რედაქტორს „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციიდან თხოვეს, დაეზუსტებინა, თუ როდის დაიბეჭდა გერმანე ფაცაციას წერილი „მეგრელთა საქმე". მე ამ დროს რედაქტორის კაბინეტში გახლდით. მან მთხოვა დავხმარებოდი „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას წერილის გამოქვეყნების თარიღის დაზუსტებაში. ეს იყო და ეს.

ამის შემდეგ დავურეკე ბატონ გერმანეს და ვკითხე ის, რაზედაც იგი წერს თქვენდამი გამოგზავნილ წერილში, გახსოვს, როდის დაიბეჭდა შენი ესა და ეს წერილი ჩვენს გაზეთში-თქო. რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ მქონდა არც იმის შესახებ, რომ ბატონ გერმანე ფაცაციას წერილი იყო თქვენთან მოტანილი, და არც იმის შესახებ, თუ რატომ აინტერესებდა „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას გერმანე ფაცაციას წერილის გამოქვეყნების თარიღი.

აი, ეს არის მთელი ამ არასერიოზული საქმის არსი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ არასერიოზული მიწერ-მოწერა არც თქვენს და არც სხვა გაზეთებში არ უნდა იბეჭდებოდეს.

პატივისცემით

**ამირან ბუთურიშვილი,**

გაზეთ „ერის" მთავარი რედაქტორის მოადგილე.

### ქრონიკა

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს მამედ სეიფულის ძე გიულმამედოვი გაზეთ „გურჯისტანის" მთავარ რედაქტორად.

### მკითხველთა საყურადღებოდ!

„**ეკრანის** ამბების" რედაქცია გაცნობებთ, რომ გაზეთის ა. წ. 23 თებერვლის ნომერი არ გამოვა ორგანიზაციული საკითხების გამო, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

### გასწორება

**ჩვენი** გაზეთის წინა ნომრის მესამე გვერდზე დაიბეჭდა ბატონ ზვიად გამსახურდიას წერილი „მზე ჩრდილოეთიდან აღარ ამოვა" ღია წერილი გაზეთ „ცხოვრების" რედაქციისადმი.

წერილში გაიპარა შეცდომა, მეორე აბზაცის მეცხრე სტრიქონში შ. წალდალიშვილის მაგივრად უნდა იყოს: **შ. ზალდალიშვილი...**


მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 66634

საქართველოს რესპუბლიკა